გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№93 (849) 13 - 15 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

„რაც უნდა გადავწყვიტო, ამას ჩემი გუნდი დაემორჩილება"

როგორ გადავა ოპოზიციაში და რას პასუხობს ოპონენტებს

ირაკლი ალასანია

გვ. 3

2009-2013 წლებში ჩადენილ დანაშაულთა შემზარავი სტატისტიკა

შსს-ს მიერ გაცარებული ღონისძიებების შედეგად, წელს დანაშაულის მაჩვენებელმა იკლო

გვ. 5

გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად 26 909 916 აშშ დოლარის კრედიტი დაამტკიცეს

100 საწარმოს ოფიციალური სტატისტიკა რეგიონების მიხედვით

გვ. 8

როგორ მიმდინარეობს „რთველი 2013" და რა შინაარსის ზარები შედის „ცხელ ხაზზე"

გვ. 6

„საქართველოს ბანკი" დიდ ბრიტანეთში სტუდენტების სწავლას სრულად დააფინანსებს

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

ბანკი Chevening-ის სტიპენდიების პროგრამის პარტნიორი გახდა!

გვ. 9

სამართლიანობის აღდგენას მეცნიერებათა აკადემიაშიც ელიან

გვ. 10

„ეს ბიძინა ივანიშვილის გეგმაა, რომელიც შესაძლოა, ვიღაცამ დაუკვეთა კიდეც"

რაში ამხელს „ოცნებას", ნაციონალებსა და ბურჯანაძეს და როგორ აპირებს პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას

სალომე ზურაბიშვილი

„კიდევ ერთხელ გადაგვაგდეს!!! ისევ ბრძოლა!!!"

საარჩევნო ბატალიები Facebook-ზე — რომელ კანდიდატს მეტი „ლაიქი" აქვს ონლაინსივრცეში და რა კომენტარებს უწერენ მათ მოქალაქეები

პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური 30 ოქტომბრამდე გაუქმდება

პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური ლიკვიდაციას ექვემდებარება. ლიკვიდაცია 30 ოქტომბრამდე უნდა განხორციელდეს. ამ მიზნით, მთავრობისა და პრეზიდენტის წარმომადგენელთა შემადგენლობით სპეციალური კომისიაც შეიქმნება. სამსახურის ლიკვიდაციას „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა, ირაკლი სესიაშვილმა მოამზადა. პროექტი პარლამენტში ინიცირებულია.

საქმე იმ სტრუქტურის ლიკვიდაციას ეხება, რომელიც სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა. საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადავიდა. „ქართული ოცნების“ ამ ნაბიჯს პრეზიდენტ სააკაშვილის და მისი გუნდის მხრიდან სერიოზული პროტესტი და კრიტიკა მოჰყვა, რის შემდეგაც უმრავლესობამ, უშუალოდ, სააკაშვილის დაქვემდებარებაში ცალკე სტრუქტურის — პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო და ამ მიმართულებით კანონში შესაბამისი დამატებებიც შეიტანა.

აღნიშნულ სამსახურს პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრებისა და პრეზიდენტის სარგებლობაში არსებული ობიექტების დაცვა უნდა უზრუნველეყო, თუმცა ცალკე სამსახურის შექმნის გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების და კანონის დონეზე დარჩა, რადგან რეალურად პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფარგლებში ეს ორგანო არ ჩამოყალიბებულა. ამასთან დაკავშირებით არაოფიციალურ საუბრებში ისიც ითქვა, თითქოს პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მისი დაცვის სამსახურის შექმნას იმ გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მასთან გადასვლაზე უარი თქვეს და ცალკე სამსახურის შექმნისთვის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა.

ახალი კანონპროექტის თანახმად, კანონიდან ყველა ის მუხლი ამოვარდება, რომელიც პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის არსებობას ითვალისწინებს. კანონში ცალკე პუნქტად იწერება, რომ პრეზიდენტს თანამდებობაზე არჩევის დღიდან სიცოცხლის ბოლომდე ენიშნება პერსონალური დაცვა — სამუშაო, მუდმივ და დროებით ადგილსამყოფელში. პრეზიდენტის უფლებამოსილების პერიოდში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ პერსონალური დაცვა და იგი შეუნარჩუნდებათ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგაც, მისი სიცოცხლის ბოლომდე.

„ინტერპრესნიუსი“

ცრუ შეტყობინების ავტორთა მიმართ სასჯელი გამკაცრდება?

შსს-მ „რუსთავი 2“-სა და „იმედში“ ნაღმების არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ორივე ავტორი დააკავა

12 სექტემბერს თბილისში „ნაღმების ბუმი“ ატყდა — ჯერ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში დარეკეს, შენობაში ნაღმია და მალე აფეთქდებაო, მერე ორჯერ — ტელეკომპანია „იმედში“. ცხადია, ტელეკომპანიების ხელმძღვანელების მხრიდან, ანონიმური ზარებს, შესაბამისი რეაქცია მოჰყვა — საპატრულო პოლიცია გამოიძახეს და შენობიდან თანამშრომლების ევაკუირება მოახდინეს. „იმედმა“ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაუწყებლობაც შეწყვიტა. ქალაქში კი, „ნაღმების ბუმთან“ დაკავშირებით, ათასი ვერსია გავრცელდა — სრულიად ქალაქი ტელეკომპანიების წინააღმდეგ, წინასაარჩევნოდ მოწყობილ პროვოკაციაზე ალაპარაკდა; უმეტესობამ — ცრუ განგაში იქნება, ვიღაც მოცლილი „კაიფობსო“, თქვა. იყვნენ ისეთებიც, ვისაც გონებაში ბავშვობაში მოსმენილ-წაკითხულ-ნასწავლი ზღაპარი „ცრუპენტელაც“ ამოუტივტივდა და თქვა, იმდენჯერ არ დადასტურდა სხვადასხვა შენობაში ნაღმების არსებობა, ახლა, რომ წაუყრუონ, ვაითუ, მართლაც აპირებს ვინმე რომელიმე ტელეკომპანიის შენობის აფეთქებასო.

საბედნიეროდ, წაყრუებას არავინ აპირებდა, მით უმეტეს, ღარიბაშვილის უწყება, რომლის წარმომადგენლებმაც, მომხდარიდან ძალიან მალე დაადგინეს, რომ შენობებში ნაღმი არ იყო და სამივე ზარი ცრუ განგაში აღმოჩნდა. მოგვიანებით კი, ორივე დამნაშავე პირი დააკავეს და საგანგებო განცხადებებიც გაავრცელეს: „შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ლევან მ. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა 12 სექტემბერს, 10:28 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში დარეკა და ცენტრის ოპერატორს თბილისში, სანდრო ეფლის ქ. 5ა-ში, „რუსთავი 2“-ის შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა. ყველა შესაბამისი სამსახური მითითებულ მისამართზე შეტყობინების მიღებიდან რამდენიმე წუთში გამოცხადდა. სამართალდამცველებმა უსაფრთხოების მიზნით, შენობიდან იქ მყოფი ადამიანების ევაკუაცია მოახდინეს, მიმდებარე ტერიტორია ამკრძალავი ლენტით შემოსაზღვრეს და პერიმეტრი დაიცვეს. გამნაღმველების მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ გამოძახება ცრუ იყო – შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა ცრუ შეტყობინების ავტორი ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-2 განყოფილება აწარმოებს“.

და მეორე — „შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში, 12 სექტემბერს, 13:35 საათზე მორიგი შეტყობინება შევიდა. მოქალაქემ ცენტრის ოპერატორს თბილისში, ლუბლიანას ქ. 5-ში ტელეკომპანია „იმედი“-ს შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა. შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, გამნაღმველები და კინოლოგები გამოცხადდნენ. სამართალდამცველებმა უსაფრთხოების მიზნით შენობიდან იქ მყოფი ადამიანების ევაკუაცია მოახდინეს, მიმდებარე ტერიტორია ამკრძალავი ლენტით შემოსაზღვრეს და პერიმეტრი დაიცვეს. გამნაღმველების მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ გამოძახება ცრუ იყო – შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა.

სამართალდამცველებმა ცრუ შეტყობინების ავტორი ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის 1-ლი განყოფილება აწარმოებს“.

ორივე ოპერაციის წარმატებით დასრულების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროში ახალი ინიციატივაც დაიბადა, რომელიც ცრუ შეტყობინების ავტორთა მიმართ სასჯელის გამკაცრებას ეხება. ჩანს, ამის აუცილებლობა იმიტომ დგას, რომ ბოლო დროს, საქართველოში სხვადასხვა ობიექტებში ნაღმის არსებობის შესახებ ანონიმური ცრუ შეტყობინებები საკმაოდ გახშირდა.

სამინისტრომ უკვე შეიმუშავა პროექტი, რომლის ინიცირებასაც პარლამენტარებთან ერთად საკანონმდებლო ორგანოში უახლოეს მომავალში გეგმავს. ცვლილებები შევა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლში, რომელიც „ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებაზე“ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს და მნიშვნელოვნად გამკაცრდება სასჯელის ზომა. ასევე ცვლილებები შევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და შესაბამისად, ცრუ შეტყობინების ავტორ არასრულწლოვანთა მშობლების მიმართ სოლიდური ჯარიმა დაწესდება. დღემდე მოქმედი კანონმდებლობა 16 წლამდე პირთა მიერ ცრუ შეტყობინების განხორციელების შემთხვევაში, სასჯელს არ ითვალისწინებდა.

შსს-ში აცხადებენ, რომ უწყების მიერ შემუშავებული პროექტით, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა იქნება ადეკვატური ღონისძიება ზემოაღნიშნული დანაშაულის პრევენციისთვის. საქართველოს პარლამენტი აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებს უახლოეს მომავალში განიხილავს.

„ვერსიანიუსი“

შსს პრეზიდენტს მოუწოდებს სამართალდამცავი სტრუქტურების შეურაცხყოფისგან თავი შეიკავოს

შსს-ს განმარტებით, პრეზიდენტის განცხადება, თითქოს მართვის მოწმობების აღებისთვის მოქალაქეებს 500 ლარს ახდევინებდნენ, სამართალდამცავი უწყებისათვის შეურაცხმყოფელი და პოლიციის დისკრედიტაციისკენაა მიმართული.

პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, თითქოს ქუთაისსა და გორში მიმდინარეობს მართვის მოწმობების უკანონოდ გაცემა, რაშიც მოქალაქეებს 500 ლარს ახდევინებენ.

სამინისტრო მოუწოდებს პრეზიდენტს, სამართალდამცავი სტრუქტურების შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთებისაგან თავი შეიკავოს.

„ინტერპრესნიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რაც უნდა გადავწყვიტო, ჩემი გუნდი დაემორჩილება

ირაკლი ალასანია ოპონენტების ყველა პრეტენზიას პასუხობს

ირაკლი ალასანიას უწყებამ გამჭვირვალობისთვის საერთაშორისო ინსტიტუტებისგან ჯილდო ორიოდ დღის წინ დაიმსახურა, თუმცა სწორედ ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროსა და კვების კომპანიას შორის არსებული ფარული ბიზნესგარიგებების შესახებ. ზოგადად, სამინისტროების ფინანსური საქმიანობა უარყოფითად შეაფასა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც, კონკრეტულად, ირაკლი ალასანიას მისამართით კი არაერთი პოლიტიკური კითხვა დაგროვდა. თავდაცვის მინისტრი „ვერსიას“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს და მისი უწყების გარშემო არსებულ ყველა პრეტენზიას პასუხობს.

— არასამთავრობო ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ინსტიტუტმა დააფასა ის, რაც ჩვენს უწყებაში ბოლო 9 თვის განმავლობაში გაკეთდა. პრაქტიკულად, გაუმჭვირვალე სისტემიდან ერთ-ერთ მოწინავე სამინისტროდ ვიქეცით, რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

— პარალელურად, პრეტენზიაც ბევრია. თუნდაც პრემიერის ბოლო განცხადება, სადაც ამბობს, რომ სამინისტროების დღესასწაულები ღრეობად იქცა. ეს შენიშვნა საკუთარ თავზეც მიიღეთ?

— ჩვენ, ძირითადად, წვრთნებსა და ვარჯიშებზე ვიწვევთ პრემიერს და არა ქეიფებზე! ეს განცხადება ჩვენ არ გვეხება. ვის ეხება, ამის შესახებ თავად პრემიერს ჰკითხეთ. ჩვენი საქმიანობის ეპიცენტრში ჯარისკაცი, ოფიცერი, მეომარია და ყველა თეთრი მის კეთილდღეობას, წვრთნასა და აღჭურვას მოხმარდება.

— და კვებასაც... ჯერ იყო და, ჯარის კვების მონოპოლიზებას თქვენი თანაპარტიელის, ირინა იმერლიშვილის მეუღლეს აბრალებდნენ, ახლა საუბარია კომპანია „დელტაზე“, რომელსაც თურმე, პერსონალურად თქვენ აკონტროლებთ.

— საუბარია „ქართული კვების კომპანიაზე“, რომელიც „დელტას“ ნაწილია. კვება გაუმჯობესდა, ჯარისკაცები და წვევამდელების მშობლები კმაყოფილები არიან. ბრიტანეთიდან სპეციალური ჯგუფიც მოვიწვიეთ, რომელმაც ხედვა წარმომიდგინა, როგორ უნდა განვითარდეს ჯარის კვების საკითხი. ჩვენც იმ რეკომენდაციებს მივყვებით, რაც ნატო-ს მოწინავე ქვეყანამ, ბრიტანეთმა მოგვცა. სრული დამაჯერებლობით ვამბობ, ამ საკითხში მომავალი წელი უკეთესი იქნება! ამ შესაძლებლობას ვიყენებ, რომ ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვით ჩვენს გლეხებს მივცე სტიმული, კვების ყველაზე დიდი ორგანიზაციაც ჩვენ გვაქვს და ამ სისტემის ყველაზე დიდი მომხმარებელიც ჩვენ ვართ — ძალიან კმაყოფილი ვარ. ექსპერტები და არასამთავრობო სექტორი „ქართული კვების კომპანიის“ მიერ წარმოებულ ყველა შესყიდვას ესწრებიან. ყველაფერი გამჭვირვალედ ხდება.

— პირიქით, მთავარი პრეტენზია ისაა, რომ ეს კომპანია სახელმწიფო არ არის და ყველა შესყიდვა თუ ტენდერი გაუმჭვირვალეა.

— არა, ეს საწარმო სახელმწიფოს საკუთრებაა. შესაძლოა, ვინც ამას ამბობს, ჩვენს მოწვევას არ იღებს და ჩვენთან არ მოდის.

— უჩა ძოძუაშვილი ვინ არის და თქვენთან რა აკავშირებს?

— იგი „დელტას“ ხელმძღვანელია და ჩემთან ისეთივე პირადი კავშირები აქვს, როგორიც თქვენ — არც ნათესაობა გვაკავშირებს, არც მეგობრობა. მას კარგი განათლება აქვს და მაშინ გავიცანი, როცა ამ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა შემომთავაზეს.

— ქვეყანაში ჩატარებულ პირველ ავიაშოუზე გკითხავთ — „ოცნებისა“ და ნაციონალების მეტად კოაბიტაციური ფოტოები ბევრს არ მოეწონა... ანუ პოლიტიკური თანაცხოვრება თქვენთვის 27 ოქტომბერს სულაც არ მთავრდება?

— არ ვიცი, ყურადღებას ამაზე რატომ ამახვილებთ და არა მთავარზე — „ეარშოუ“ ჩვენი კი არა, იმ საფრენი აპარატებისა და პილოტების იყო, ვინც ეს შოუ ჩაატარა, ჩვენმა პილოტებმა კი მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი გამოავლინეს. ილეთები, რაც საქართველოს სამხედრო ავიაციამ შემოგვთავაზა, მსოფლიოს არც ერთი მაღალი დონის ავიაშოუს არ ჩამოუვარდებოდა. ეს ღონისძიება ტრადიციად დარჩება და ყოველწლიური, საერთაშორისო გახდება, რაც არ არის ფუფუნება. მსგავსი ღონისძიებები ჩვენი სამხედრო შესაძლებლობების გამოვლენაა. მეორე — როცა მას საერთაშორისო მასშტაბი აქვს, მსოფლიო ავიატორების ეპიცენტრშიც ექცევი. ჩვენ გვაქვს ალექსანდრე ქართველის სახელობის „თბილავიამშენი“ და შეგვიძლია, ვერტმფრენების, „სუ 25“-ების წარმოება-შეკეთება, ამიტომ სწორი ამბიციაა, როცა ასეთ ავიაშოუებს ვატარებთ.

— მაშინ რით იყო ცუდი 26 მაისს აღლუმის ჩატარება, ან პრეზიდენტის მიერ ახალი საბრძოლო ტექნიკის, იგივე „დიდგორის“ წარმოჩენა. ეს მხოლოდ თქვენს შემთხვევაშია სწორი ამბიცია?

— ჯერ ერთი, ასე ჩვენი პილოტები კვალიფიკაციას ინარჩუნებენ. პილოტს რომ ფრენის საშუალება არ მისცე, კვალიფიკაცია დაეკარგება. მეორეც, ეს ჩვენი სამხედრო პილოტების თვითრეალიზების საშუალება, მომზადების ხარისხის შემოწმებაა. როცა ეს ავიაშოუ საერთაშორისო ღონისძიებად გადაიქცევა, საქართველოს მეტ შესაძლებლობას გაუჩენს. მაგალითად, მომავალში შეგვეძლება, ერთმანეთთან შეუთავსებელი სახელმწიფოები ჩვენს ტერიტორიაზე გარკვეულ კოაბიტაციაში ვამყოფოთ.

— რას გულისხმობთ ან რომელ შეუთავსებელ სახელმწიფოებზე საუბრობთ?

— ვფიქრობ, ამ ღონისძიებაზე, მომავალში, რეგიონის ის ქვეყნები მოვიწვიო, რომელთაც ერთმანეთთან კონფლიქტი აქვთ. რაც შეეხება კოაბიტაციის თემას შიდაპოლიტიკაში, საქართველოს სამხედრო ავიაცია, თავდაცვა და უსაფრთხოება ის საკითხებია, სადაც ჩემთვის პარტიულობას მნიშვნელობა არ აქვს. სახელმწიფო სტრუქტურის მოწვეული წარმომადგენლები პარტიული ნიშნით არ უნდა შეირჩნენ და ასე არც მომხდარა! ასე რომ, მიკვირს, ჩვენი ერთად დგომა სწორად ვინ ვერ გაიგო — ეს ერთმანეთისგან აბსოლუტურად აცდენილი ორი საკითხია და ყველას, ვისაც აზროვნებაშიც აცდენა აქვს, დაფიქრებისკენ მოვუწოდებ!

— ამ ავიაშოუზე ნოდარ ხადური ასეთს რას გეუბნებათ, ერთ-ერთ კადრში, ერთმანეთს ხელს გახარებულები ურტყამთ?

— ხადურმა მართლა კარგი რამ მითხრა, რაც ჩვენს დაფინანსებასა და მომავალ ზრდას ეხებოდა. რაღაც ხუმრობაც იყო, ახლა ზუსტად არ მახსოვს.

— კიდევ ერთი კითხვა ვერტმფრენებზე — ფრანგულ ვერტმფრენებს რომ ყიდით და საპირწონედ, 2008 წლის გაფუჭებული ტექნიკის შეკეთებას აპირებთ, ამაზე ნაციონალები გედავებიან — მაღალმთიან რეგიონებში, გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობას მართლა ვერ დავეხმარებით?

— მარტივი პასუხი მაქვს — ჩვენ გვყავს ვერტმფრენები, რომელთა ნაწილი უმოქმედოა. არც ერთ მათგანს 2008 წლის მერე სარეაბილიტაციო სამუშაო არ ჩატარებია. თუ ნაციონალების ხელისუფლებას ქართული ავიაციის მხარდაჭერა უნდოდა, სჯობდა, ამ 5 წლის განმავლობაში დახმარებოდა. ისე, თავდაცვისა და შს სამინისტროებს გვყავს ვერტმფრენების ფლოტი, რომლებიც საგანგებო ვითარებაში მათზე დაკისრებულ ყველა ამოცანას შეასრულებენ! რაც შეეხება იმ ფრანგულ ვერტმფრენებს, ვინც მათი სალონი ნახა, მიხვდება, სამხედრო გამოყენებაზე საუბარი ზედმეტია — ეს დიდი ტყუილია! მათი გაყიდვა მთავრობასთან შეთანხმებულია და ამას ეკონომიკის სამინისტრო აკეთებს.

— გიორგი ვოლსკი ადასტურებს, რომ პრემიერის მიერ ნახსენებ ევრაზიულ კავშირში შესვლაზე გუნდში აზრთა სხვადასხვაობაა. რა პოზიცია აქვს ირაკლი ალასანიას?

— გუნდის შიგნით, მთავრობაში ამაზე საუბარი არასოდეს ყოფილა და ეს არც პრემიერის ერთპიროვნული გადაწყვეტილებაა; ეს საკითხი არ განიხილება, რადგან ჩვენს ევროატლანტიკურ პოზიციასთან აბსოლუტურად შეუთავსებელია. შემიძლია გარანტია მოგცეთ, რომ ასეთი რამ არ მოხდება — საქართველო პოლიტიკის შეცვლას არ გეგმავს!

— სირიის კონფლიქტში ჩვენი პოზიცია აშშ-სას ემთხვევა. ისევ „სხვის ომში“ ხომ არ ვერთვებით, ამერიკას მხარს საბრძოლო მოქმედებებითაც დავუჭერთ და მართლა იგეგმება ქართველი ჯარისკაცების ავღანეთიდან სირიაში შეყვანა?

— ჩვენი პოზიცია არა მარტო ამერიკის, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს პოზიციას ემთხვევა. არც სამხედრო-ოპერატიულ და არც პოლიტიკურ დონეზე, საქართველოს ჩაბმა სირიის კონფლიქტში რაიმე ფორმით არ განიხილება და ეს პოზიცია მხოლოდ აშშ-სთან თანხვედრის კი არა, იმის გამო დავაფიქსირეთ, რომ საქართველო ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობისა და აკრძალვის კონვენციის მონაწილე ქვეყანაა. ვინც ამ იარაღს გამოიყენებს, საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა დასაჯოს! აქ ჩვენი როლი, უბრალოდ, საერთაშორისო საზოგადოებასთან პოზიციის თანხვედრაა. მით უმეტეს, ჩვენი პარტნიორი ქვეყნის, აშშ-ს პრეზიდენტის ბოლო გამოსვლაში ჩანდა, რომ შესაძლოა, სირია ქიმიური იარაღისგან მოლაპარაკების გზით გაიწმინდოს. რა ვქნათ მეტი, მშვიდობის მტრედები ვართ!

— დაბოლოს, კითხვა, რომელსაც თქვენს ნაცვლად, პასუხს სცემენ ექსპერტები, თქვენი პარტიისა და კოალიციის წევრები — მიდის თუ არა ალასანია ოპოზიციაში... ამბობენ, საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭისყრა თქვენი ნომერპირველ პოლიტიკოსად ქცევის ბოლო შანსია. ამ შანსს რატომ არ იყენებთ?

— ჩვენ ერთი კოალიცია ვართ, გვყავს კანდიდატი, რომელსაც ერთად ვუჭერთ მხარს და პოზიციაში არანაირი ცვლილება არ გვექნება. რაც შეეხება ჩემს ამბიციებს, დიახ, მაქვს ამბიცია, ვიყო პირველი იმ საქმეში, რასაც ვაკეთებ, ამ შემთხვევაში — თავდაცვის სამინისტროში, დასახული ორწლიანი გეგმა კარგად უნდა შევასრულო. შემდეგ დრო გვიჩვენებს.

— ორი წლის მერე ოპოზიციაში მიდიხართ?

— ამაზე საუბარი არ არის, თუმცა ერთს გეტყვით — რაც უნდა გადავწყვიტო, ამას ჩემი პარტიის სრული შემადგენლობა დაემორჩილება, რადგან ერთმანეთთან მედროვეობა კი არა, ღირებულებები გვაკავშირებს!

ვერსიანიუსი

ენერგეტიკის სამინისტრო პრეზიდენტის ადმინისტრაციას სიცრუეში ადანაშაულებს

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ძვირადღირებულ ფრანგულ ვერტმფრენებს მთავრობის წარმომადგენლები პირადი მომსახურებისათვის იყენებენ. პრეზიდენტის პრესსპიკერის, მანანა მანჯგალაძის მტკიცებით, სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც ჩანს, რომ ვერტმფრენში იმყოფება კახი კალაძე, ხოლო ფოტოს ქვემოთ გამოქვეყნებული კომენტარების (აი, აქ არ შემეშინდებოდა; არ მითხრა, ფრენის შიში მაქვსო; ეს თვითმფრინავია? მარშრუტკაა; მართლა იყავით? წახვედი მაინც? კი, სოფ, ულამაზესი ქორწილი იყო; კი. — საუბარი კალაძის მეუღლეს, ანუკი არეშიძეს ეკუთვნის) მიხედვით კალაძე ქორწილში მიემგზავრება: **„რა თქმა უნდა, მთავრობის წევრები უნდა დაფრინავდნენ და მოძრაობდნენ რაც შეიძლება ბევრს, რათა მოიზიდონ ინვესტიციები და განახორციელონ პროგრამები, მაგრამ მიუღებელია, როდესაც ისინი თვალთმაქცობენ და ამბობენ, თითქოს გმობენ ძვირადღირებული ტექნიკის გამოყენებას. ისინი ამ ტექნიკას ართმევენ სახელმწიფოს და საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ“.**

მანჯგალაძისვე თქმით, ფრანგული წარმოების ვერტმფრენები განკუთვნილი იყო ექსტრემალური სიტუაციებისთვის, სამაშველო სამუშაოებისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი სხვა მიზნებისთვის.

პრეზიდენტის ადმინისტრაციას საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ირაკლი გაფრინდაშვილი გამოეხმაურა და სააკაშვილის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სიცრუეში დაადანაშაულა. ირაკლი გაფრინდაშვილის თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ფოტოებზე არა ფრანგული ვერტმფრენი, არამედ თვითმფრინავია აღბეჭდილი. მისივე ინფორმაციით, კახი კალაძე მისი და თანმხლები პირების მგზავრობისა და სასტუმროს საფასურს სამსახურეობრივი მივლინების დროსაც კი საკუთარი ჯიბიდან ანაზღაურებს: **„ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ ფოტოებზე არა ფრანგული ვერტმფრენი, არამედ თვითმფრინავია ასახული. კახი კალაძე ბოლო პერიოდში ვერტმფრენში საერთოდ არ მჯდარა. თვითმფრინავში თუ ზის და თუ სადმე დაფრინავს, სამსახურებრივ მივლინებასაც და სამოქალაქო გადაადგილებასაც იგი თავისი ჯიბიდან აფინანსებს“.**

„ვერსიანიუსი“

„კიდევ ერთხელ გადაგვაგდეს!!! ისევ ბრძოლა!!!“

საარჩევნო ბატალიები Facebook-ზე — რომელ კანდიდატს მეტი „დაიქი“ აქვს ონლაინსივრცეში და რა კომენტარებს უწერენ მათ მოქალაქეები

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საპრეზიდენტო კანდიდატების მარათონი ცესკო-ს ფარგლებს კარგა ხანია გასცდა. კანდიდატებს შორის ოფიციალური დებატების დაწყებამდე, შეჯიბრი სოციალურ ქსელებზე მიმდინარეობს — გამოკითხვები, „ლაიქები“, ფოტოალბომები, ვიდეოები, ერთმანეთის ლანძღვა, საინტერესო პოსტები, მხარდამჭერი ჯგუფები... მოკლედ, სულ აპოლიტიკურიც რომ იყო და Facebook-ზე მხოლოდ „ფერმის“ სათამაშოდ შეხვიდე, 15 წუთი სრულიად საკმარისია ბოლო პოლიტიკურ ტენდენციებში გასარკვევად.

54 მსურველიდან, ცესკო-მ პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად ჯერ მხოლოდ 6 პირი: მიხეილ სალუაშვილი, ნესტან კირთაძე, შალვა ნათელაშვილი, სერგო ჯავახიძე, გიორგი ლილუაშვილი და გიორგი მარგველაშვილი დაარეგისტრირა. ამავდროულად, ცესკო-მ სალომე ზურაბიშვილს კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარი უთხრა და მასთან ერთად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ტარიელ ხვედელიძეს, ვლადიმერ გეგეჭკორს, თენგიზ გაბიძაშვილს, ნუგზარ ჩხაიძესა და გიორგი გახოკიას არ მისცა. „ფეისბუქზე“ კი კარგა ხანია გამოჩნდა პრეზიდენტობის იმ კანდიდატების პირადი თუ მხარდამჭერი გვერდები, ვინც წინასაარჩევნოდ, ყველაზე მეტად აქტიურობს. ასეთია, მაგალითად, „ოცნების“ კანდიდატის **გიორგი მარგველაშვილის** ოფიციალური გვერდი „ფეისბუქზე“. მისი აქტივობების ნახვა „იუთუბიზე“, „ტვიტერსა“ და „ფლიკერზეცაა“ შესაძლებელი. მარგველაშვილის „ფეისბუქგვერდს“ 6 000-ზე მეტი „ლაიქი“, ანუ ამდენივე მომხმარებლის მოწონება აქვს. მისი პერსონის შესახებ კი 3 325 ადამიანი მსჯელობს. გვერდი მარგველაშვილ-ივანიშვილის ფოტოებითაა აჭრელებული. აქტივობა ასეთია: მარგველაშვილი რთველში, ველისციხეში, რუისსა და ქარელში, ხალხში, ბავშვებთან... ამავე გვერდზე, ცალკე ბლოკად, მეტად საინტერესო მინაწერებს წაიკითხავთ, რომელსაც იმედია, კანდიდატის „ფეისბუქგვერდის“ ადმინისტრაცია არც ამ მასალის და არც უარყოფითი კომენტარების დამატების შემდეგ წაშლის. „ჩანაწერები გიორგი მარგველაშვილის გვერდზე“ — ამ ნაწილში ნამდვილი დემოკრატიაა, აქ განსხვავებულ აზრს ბევრი მომხმარებელი პოსტავს: მაგალითად, **მანანა გაბუნია: „მხარი ხომ არ დაგიჭიროთ ჩემი, როგორც ადამიანის აბუჩად აგდებისთვის, შიმშილით გაწირვისთვის?! მეყოფა ექსპერიმენტები. სახალხოდ გიცხადებთ — თქვენი პრეზიდენტობის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეობაზე ვიტყვი უარს!“** ნახავთ დასაქმების თხოვნასაც — **მურადი გურგენაძე: „ვცხოვრობ გლდანში. ვარ 56 წლის უპარტიო და ვგულშემატკივრობ მარგველაშვილს. მსურს, მონაწილეობა მივიღო პრეზიდენტის არჩევნებში როგორც დამკვირვებელმა. როგორ მოვიქცე?“** ვერ წავუყრუებთ **ხაშმის საბავშვო ბაღის** თხოვნას, რომელიც კანდიდატის დახმარებას იხვეწება: **„მოწიწებით გთხოვთ, კახეთის ერთ-ერთი ძალიან ლამაზი სოფლის, ხაშმის საბავშვო ბაღის მდგომარეობით დაინტერესდეთ. ფლიგელი სავალალო მდგომარეობაშია. გადახურვა სჭირდება. არ გვაქვს დარბაზი და გათბობა. თქვენი დახმარების იმედით, შევყურებთ ხვალინდელ დღეს.“** ორიგინალური აღმოჩნდა მარგველაშვილის ერთ-ერთი მომხრე, **ლიკა კასრაძე,** რომელმაც ასტროლოგ მიხეილ ცაგარელის ვრცელი ასტროპროგნოზი დადო, სათაურით — **„არჩევნებში იმარჯვებს გიორგი მარგველაშვილი“...**

საინტერესო ამბები ხდება ნაციონალების პრეზიდენტობის კანდიდატ **დავით ბაქრაძის** პირად გვერდსა და მხარდამჭერ საიტზე, სახელად „დავით ბაქრაძე პრეზიდენტად“. ამ საიტს 2 000-მდე ე.წ. მიმდევარი ჰყავს, რაც, ამ შემთხვევაში, „ლაიქების“ ტოლფასია. საიტის ადმინისტრატორი გვერდზე უმეტესად, ნაციონალების ოფიციალური საიტიდან „მოაქვს“ ინფორმაცია. გვერდს არც ერთგული მომხმარებლები აკლია. მაგალითად, **შოთა მაისურაძე: „მინდა, ისევ ის განწყობა დაბრუნდეს ქვეყანაში, რაც იყო. ყველაფერი ჩამუქდა. ეს ცუდია. მეტად იაქტიურეთ, ხალხს შოუ სჭირდება“.** ჩანს, მხარდამჭერები ამჩნევენ, რომ ბაქრაძე ისეთი აქტიური არ არის, როგორც „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, თუმცა მის გვერდზე ფანატიკოსებსაც რა გამოლევს — **მაყვალა ფირცხალაიშვილი: „მხოლოდ ერთს ვთხოვ ბუნების ძალასა და ხალხის გონებას — ეს ნამდვილი ადამიანი აირჩიონ საქართველოს პრეზიდენტად! ეს ოცნება არ არის, ეს იმედის ძალაა, ეს საქართველოს გადაარჩენს! გაუმარჯოს საქართველოს — გამარჯვება დავით ბაქრაძეს!“ ირაკლი გვალია** კი კანდიდატს ლექსისმაგვარით ამხნევებს: **„დილა მშვიდობისა ერო, ჩაკვდი მტერო, ბაქრაძე პრეზიდენტად!“**

აი, როცა „ფეისბუქზე“ **ნინო ბურჯანაძეს** მოძებნით, ათ გვერდს მაინც წააწყდებით — „ბურჯანაძე — პოლიტიკოსი“, „ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერები“, „მე ვირჩევ ნინო ბურჯანაძეს“, „ახალგაზრდები ბურჯანაძის მხარდასაჭერად“... აქედან ოფიციალური, პირადად ნინო ბურჯანაძის გვერდია, ფონის ფოტოზე წარწერით — „აირჩიე ნინო ბურჯანაძე — სამართლიანობა ყველგან და ყველასთვის.“ ამ გვერდს 1000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს და მაშინვე თვალში გხვდება საინტერესო მინაწერებიც. **გარი ბიჩიშვილი: „ამ ხალხს ჭკუა არ აქვს, თორემ მარტო იმაში დასარწმუნებლად უნდა მისცე ხმა ნინოს, რომ ქვევრი არ ხარ და რასაც უფროსები ჩაგძახებენ, იმას არ „ამოსძახებ“ ბრმად. მაგრამ რად გინდა? ეს ხალხი მაინც ფარაა!“** პოლიტიკურ-ოჯახურ ბეგრაუნდს ბურჯანაძეს **მაია ცინცაძე** ახსენებს: **„ანზორ ბურჯანაძესა და ედუარდ შევარდნაძეს რომ არ მოეკითხათ თავიანთი ქმედებების გამო, იმიტომაა საქართველოში დაუსჯელობის სინდრომი...“** ბურჯანაძეს არც „პრორუსობა“ შეარჩინეს. კიდევ ერთი მომხმარებელი **ნათელა გიგაური** კანდიდატს რუსული ვოიაჟების გამო ამუნათებს და ომში დაღუპული ბიჭების სურათების ქვეშ მღელვარე მინაწერს აკეთებს: **„შენთვის ამ ბიჭების დაღუპვა არაფერს ნიშნავს, ოღონდ პუტინს ასიამოვნო. დედა არ ხარ? ასე რამ შეგაძულა საქართველო, როდემდე გინდა, რუსეთის მონობის ქვეშ ვიყოთ?! მე ახლობელი დავკარგე ამ ომში და არასდროს დავუძახებ რუსებს ძმას. გეშინოდეს უფლის და მისი რისხვის! ეს ბიჭი დაგვეღუპა აგვისტოს ომში, რა პასუხს სცემ მის დედას? შეჩერდი, ბურჯანაძევ, ხალხი ბრძენია და არ გაპატიებს!“** საოცარია, ამ გვერდზე პოლიტიკურ გამოკითხვას გადააწყდებით, საიტ „იცკ.გე“-ზე. გამოკითხვის შედეგებში, დავით ბაქრაძე ლიდერობს. აქვეა განმარტება, რომ ეს კახეთის საინფორმაციო ცენტრის გამოკითხვაა, რომელიც აშშ-ს საელჩოს დაუფინანსებია. არ ვიცი, როგორ გაეპარა ასეთი ხარვეზი ბურჯანაძის საიტის ადმინისტრაციას...

განსხვავებულია „ფეისბუქგვერდითა“ და სპეციალური საინფორმაციო საიტით „უფალი.გე“, ცესკო-სგან პირველად დარეგისტრირებული კანდიდატი **მიხეილ (გელა) სალუაშვილი,** რომელსაც „ფეისბუქზე“ 137 „მიმდევარი“ ჰყავს. მისი ერთ-ერთი მომხრე **ათუკა ქარჩხაძე** „ფეისბუკსაზოგადოებას“ გელა სალუაშვილის პოეტური ნიჭის შესახებაც უმხელს და მის ლექსს წერს: **„თუ არ ვნახე ყოველ დილით შენი სახის ცქრიალი, არ ჩავიწყვე საგზალივით ეგ ღიმილი ფრთიანი, თუ არ ჩავწვდი ორთავ თვალში იმედით რომ მიყურებს, მაშ, ცხოვრების ჭირ-ვარამში რაღა გამადიდგულებს?!“** ლექსი კარგია, მაგრამ როცა „ფეისბუქიდან“ **უფალი.გე**-ზე გადაინაცვლებთ, ცოტა შეშინდებით — აქ აურაცხელ ინფორმაციას გადააწყდებით არა მხოლოდ სალუაშვილის პროგრამისა და ციტატების, არამედ უფლის მეორედ მოსვლისა და ბოლო ჟამის შესახებ. საიტზე მარცხნივ ღვთისმშობლის ხატია, მარჯვნივ — მაცხოვრის, შუაში ჯვარცმა და ზვიად გამსახურდიას სიტყვები: „ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, ეკლიანი გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა.“ ცოტა ქვევით, თავად კანდიდატის განცხადებაა: **„სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ხმა ერისა — უფლისმიერ სიმართლეზე დამყარებული ნების აღსრულებას მოითხოვს. ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის სახელდებაც, სწორედ აღნიშნული შინაარსის მატარებელია: „სამართლიანობის აღდგენის კავშირი ხმა ერისა: უფალია ჩვენი სიმართლე“.**

ბოლო ჟამს აბუნტებულ **კობა დავითაშვილს** კი, როგორც ჩანს, „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მეტად უაქტიურია. თუმცა მისი გვერდით დაინტერესებული, ჯერჯერობით, მხოლოდ 895 ადამიანია. თვალს იტაცებს ჟურნალისტებში ჩაფლული დავითაშვილის ფოტო მინაწერით: **„ვფიქრობ, ხალხის დრო დადგა! ხალხი აირჩევს პრეზიდენტს, რომელსაც ხალხის ესმის, ხალხისთვის იბრძვის, ხალხიდან არის და ხალხს არც არასდროს დაშორება. ხალხთან ერთად, ერთან ერთად — სამართლიანობის აღდგენა რეალობაა! ამას ვფიქრობ, ასე ვცხოვრობ, ამას ვირჩევ, ამას ვაკეთებ!“**

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ **სალომე ზურაბიშვილს** საპრეზიდენტო კანდიდატად არ არეგისტრირებენ, მის ოფიციალურ გვერდს ყველაზე მეტი, 6 633 „ლაიქი“ აქვს, ცესკო-ს პოზიციით სრულიად „ფეისბუქია“ აღშფოთებული. აქ მხარდამჭერ ტექსტებს უხვად ნახავთ, მათ შორის კი **ვასილ მაღლაფერიძის** გამორჩეულია: **„იქნებ, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, რამდენად სამართლიანია ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ კონტექსტში სალომე ზურაბიშვილისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმა და რას ნიშნავს ეს. რა გზავნილს შეიცავს ეს უარი, რას ვეუბნებით ამ გადაწყვეტილებით წარსულს და მომავალს? საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგაო და დაგვავიწყდა, რატომ არის სალომე ზურაბიშვილი საფრანგეთის მოქალაქე?! ამას ჰქვია სამართლიანობის აღდგენა?! რას ვეუბნებით ამით სამშობლოდან გაძევებულ უამრავი თანამემამულის სულს!“** აქ ემიგრანტების უამრავ პოსტს და ისეთ ტექსტსაც წააწყდებით, რომელიც საბრძოლო განწყობაზე მოგიყვანთ: მაგალითად, ზურაბიშვილს სალონიკის ქართველთა სათვისტომო და ორგანიზაცია „ოქროს საწმისი“ ეპატიჟება, **ალექსანდრე თევზაძე** კი, თავისი კომენტარებით, ალბათ, არაერთის განწყობას ასახავს: **„სიბრაზე არ მაძლევს საშუალებას, გადმოვცე იმედგაცრუება და სინანული, კიდევ ერთხელ გადაგვაგდეს !!!! ისევ ბრძოლა !!!...“**

ვერსიანიუსი

„საქართველოში კონკურენტული საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს“

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის, თომას მელიას განცხადებით, ამერიკა მხარს უჭერს ქართველი ხალხის სურვილს, ჩატარდეს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები. მელიას შეფასებით, საქართველოში ხარვეზების მიუხედავად, კონკურენტული საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს. ამერიკის მთავრობა კი განაგრძობს თანამშრომლობას ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ლიდერთან: **„მომავალი არჩევნები საქართველოსთვის შანსია, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში წინსვლისკენ. საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება, ამ არჩევნების სამართლიანად აღქმა. საარჩევნო პროცესისთვის კი, პირველი და მნიშვნელოვანი პრინციპია, თანაბარი საარჩევნო ველის არსებობა, პოლიტიკური გარემო ხელს უნდა უწყობდეს პროცესში ყველა პარტიის თანაბარ მონაწილეობას. ხარვეზების მიუხედავად, საქართველოში კონკურენტული საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს; მეორე პრინციპია კანონის უზენაესობა და სამართლიანი მართლმსაჯულება; მესამე პრინციპია, ფუნდამენტური უფლებების პატივისცემა“.**

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის განცხადებით, მშვიდობიანი დემონსტრაციების პატივისცემა დემოკრატიული პროცესის ნაწილია: **„მივიღეთ ინფორმაცია პარტიების წარმომადგენლებისგან, რომ ისინი თავისუფლად ატარებენ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მათ ასევე ვთხოვეთ, თავი შეიკავონ ძალადობისგან და თავიდან აიცილონ პროვოკაციები. მნიშნელოვანია, მასმედიის ხელმისაწვდომობა. მივესალმებით იმ კანონმდებლობის დანერგვას, რაც ხელს უწყობს ყველა პოლიტიკური სუბიექტისთვის მედიაზე ხელმისაწვდომობას საარჩევნო კამპანიის 60 დღის განმავლობაში. იმედის მომცემია Must carry-ის პრინციპი. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს მის გაგრძელებას არჩევნების შემდეგ, სავარაუდოდ, დავების განხილვისას და შემდეგ პერიოდში“.**

მელიას თქმით, მათ აქვთ მოლოდინი, რომ პოლიტიკური პარტიები თავს შეიკავებენ ძალადობისგან.

„ექსპრესნიუსი“

„ეს ბიძინა ივანიშვილის გეგმაა, რომელიც შესაძლოა, ვიღაცამ დაუკვეთა კიდეც“

რაში ამხელს „ოცნებას“, ნაციონალებსა და ბურჯანაძეს და როგორ აპირებს პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას სალომე ზურაბიშვილი

ირუსუდან შელია
557-100-768

საპრეზიდენტო არჩევნებში ნინო ბურჯანაძის გამარჯვებას გამორიცხავს. ამბობს, რომ მოვლენები ბიძინა ივანიშვილის სცენარით განვითარდება, რადგან პრემიერმა საამისო გარემო პოლიტიკურ სპექტრში უკვე შექმნა. რატომ აშინებდა ხელისუფლებას, ნაციონალებსა და ნინო ბურჯანაძეს მისი კანდიდატად დარეგისტრირება და რა საკითხზე ისაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან შეხვედრაზე? „ვერსიასთან“ სალომე ზურაბიშვილი წინასაარჩევნო გარემოს აფასებს და ქვეყანაში პრორუსული ძალების გააქტიურებას პროგნოზირებს.

— ხელისუფლებას, ნაციონალურ მოძრაობასა და ნინო ბურჯანაძეს საპრეზიდენტო კანდიდატად ჩემი დარეგისტრირება, ბუნებრივია, არ აწყობდა. სამივეს ამომრჩეველთა იმ ნაწილის შეეშინდა, რომელსაც ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნება არ სურს, ხელისუფლებისგან იმედგაცრუებულია, თუმცა არც ნინო ბურჯანაძის პრორუსული ორიენტაცია მოსწონს. ფაქტია, დღევანდელი მდგომარეობით საზოგადოებას დასავლური ღირებულებების მქონე კანდიდატი არ ჰყავს. ჩემთვის არჩევნებში ჩართვის შესაძლებლობა რომ მოეცათ, მეორე ტური აუცილებლად დაინიშნებოდა, ახლა კი, მარგველაშვილის პირველივე ტურში გამარჯვება უფრო მარტივი გახდება და ივანიშვილის პროგნოზიც სრულად გამართლდება. ზოგადად, დღეს ყველაფერი ისე ხდება, როგორც პრემიერს სურს. ერთ დღეს აცხადებს, რომ კონკრეტული პიროვნება მოსწონს და გუნდში მისი ხილვა სურს, მეორე დღეს აღმოჩნდება, რომ იგივე პიროვნება მისთვის აბსოლუტურად მიუღებელი ყოფილა. ისიც გვესმის, თურმე პრემიერს უნდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მისი ფავორიტი და არა ქართველი ამომრჩევლისთვის სასურველი კანდიდატი გახდეს და თუ ასე არ მოხდება, გვემუქრება კიდეც, რომ პოლიტიკიდან და, შესაძლოა, საქართველოდანაც თავის ფულთან ერთად წავა, მაგრამ თუ ამომრჩეველი მის სურვილს დააკმაყოფილებს, ქვეყანაში 90%-იანი კაპიტალით დარჩება.

— რაში სჭირდებოდა პრემიერს მუქარა, როცა ჯერ კიდევ მაღალი რეიტინგი აქვს?

— ეს საკმაოდ უცნაური განაცხადია დამოუკიდებელი და თავისუფალი საარჩევნო გარემოსთვის. ამომრჩეველი არჩევნებისადმი ნდობას კვლავ კარგავს და ეს, განსაკუთრებით, სამწუხაროა იმ ფონზე, როცა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ამ მიმართულებით ვითარების გამოსწორების იმედი გაჩნდა. ქვეყანაში არასტაბილური ვითარება დღითიდღე მწვავდება და დღეს უკვე ჭირს იმის გარკვევა, ხვალ სად აღმოვჩნდებით. მიმაჩნია, რომ გიორგი მარგველაშვილი მხოლოდ გარდამავალი ფიგურა იქნება და მისი გაპრეზიდენტების შემდეგ, პროცესი სულ სხვა სცენარით წარიმართება.

— რას ნიშნავს „გარდამავალი ფიგურა“, ან ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერთა დამსახურებით მეორე ტურის დანიშვნას რატომ გამორიცხავთ?

— ნინო ბურჯანაძეს, ამ ეტაპზე, პრეზიდენტობა არც სურს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობით მას მხოლოდ იმის ხაზგასმა უნდა, რომ პრორუსული ძალები ქვეყანაში დღითიდღე ძლიერდება. რაში უნდა სჭირდებოდეს ძალაუფლებისმოყვარულ ნინო ბურჯანაძეს უუფლებო პრეზიდენტის სავარძელი, რომელსაც პრემიერის თანხმობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია?! სხვათა შორის, მარგველაშვილის უკან, რომელიც, მეტნაკლებად, პროდასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსის როლს ასრულებს, ღიად პრორუსული ძალები, ნაცვლიშვილისა და ნუგზარ ფოფხაძის მსგავსი ფიგურები, დგანან და მარგველაშვილი მათ ხელში მხოლოდ პლასტილინია, რაც თავადვე გულწრფელად აღნიშნა. რაც შეეხება ჩემს პროგნოზს, დიახ, მარგველაშვილი მხოლოდ მცირე ხნით იქნება პრეზიდენტი. შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება და პარლამენტში ნინო ბურჯანაძის პარტიის სახით, პრორუსული ძალები შევა.

— და ეს ვისი გეგმაა, ბიძინა ივანიშვილის?

— დიახ, ბიძინა ივანიშვილის გეგმაა, რომელიც შეიძლება, ვიღაცამ დაუკვეთა კიდეც. ამ სქემის გაშიფვრა პოლიტიკაში ჩახედულ ნებისმიერ პირს მარტივად შეუძლია — ხელისუფლების დეკლარირებული პროდასავლურობის ფონზე, ქვეყნის სათავეში პრორუსული ძალები მოდის. თუ ქვეყანას პროდასავლური კურსი აქვს, მე რაში ვუშლიდი ხელს? სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნებში ვერც გავიმარჯვებდი, მაგრამ ეს კარგი დასაწყისი იქნებოდა პროდასავლური ძალების გასაძლიერებლად.

— პრორუსული ძალების გააქტიურებაზე როცა საუბრობთ, კოალიციაში შემავალი პარტიები — რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები გავიწყდებათ თუ ისინიც პრორუსულები გახდნენ თქვენთვის?

— არ მესმის, რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები რას ფიქრობენ და საერთოდ, რას აკეთებენ. პრორუსულ ძალებში, ბუნებრივია, ამ ადამიანებს არ ვგულისხმობ, მაგრამ მათი დუმილი იმაზე მეტყველებს, რომ სკამებს ჩაებღაუჭნენ. დავით უსუფაშვილს შეხვედრაზე ვკითხე, რატომ არ გადარდებთ ქვეყანაში პრორუსული ძალების გაძლიერება-მეთქი და კონკრეტული პასუხი ვერ მივიღე.

— უსუფაშვილისგან ვერც ის მოისმინეთ, რომ პრორუსული ძალების გაძლიერება მმართველი გუნდის გეგმებში არ შედის?

— ვერც კი გეტყვით, რა მიპასუხა, რადგან ჩემს კითხვას ყველანაირად აარიდა თავი. ფაქტია, მათ პოლიტიკური პოზიცია არ აქვთ, არადა, ისინიც ნათლად ხედავენ — ბურჯანაძე, რომელიც არც მალავს, რომ პრორუსული ორიენტაციისაა და ეს ერთხელ უკვე დაამტკიცა, როცა ოპოზიციური ძალის როლში პუტინს შეხვდა, საზოგადოების ნაწილის გადაბირებას დემაგოგიითა და ფულით ცდილობს. სხვა ახსნა არ აქვს იმ ფაქტს, რომ „ოცნების“ აქტივისტები მის შტაბს უერთდებიან. ეს მხოლოდ მათი მოსყიდვის შედეგია. ფაქტია, წინასაარჩევნოდ, სამივე ძალა — ხელისუფლება, ნაციონალები და ნინო ბურჯანაძე შეთანხმებულები არიან. მოვლენები სცენარის მიხედვით განვითარდება და პირველივე ტურში გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს. საერთოდ, ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი რატომღაც ყოველთვის სრულდება ან ყველაფერი კეთდება, რომ მისი „ანალიზის“ სისრულეში მოსაყვანად შესაბამისი გარემო შეიქმნას. მეორე ადგილს, ალბათ, ბაქრაძე საკმაოდ დაბალი პროცენტით დაიკავებს, ხოლო მესამეზე ნინო ბურჯანაძე გავა, რომელიც ვადამდელი არჩევნებისთვის მოემზადება. გარწმუნებთ, ოფისები, რომელსაც ბურჯანაძე აქტიურად ხსნის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის სულაც არ მზადდება. სამწუხაროდ, რეალობა ასეთია და ისეთი პოლიტიკოსიც არ ჩანს, ვინც მოსალოდნელ საფრთხეებს გაუმკლავდება.

— თუ თქვენ პოლიტიკურ ანალიზს გავყვებით, პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლაც პრორუსული ძალების ხელისუფლებაში მოსაყვანად გადაწყდა?

— ბიძინა ივანიშვილი უპასუხისმგებლოდ იქცევა, როცა პოლიტიკიდან წასვლაზე საუბრობს — მისი გადაწყვეტილება ქვეყანას უარეს არასტაბილურ მდგომარეობაში ჩააგდებს. პრემიერი „ხელის დაბანას“ ცდილობს და პასუხისმგებლობას გაურბის, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში გააკეთა, როცა კანდიდატად დარეგისტრირების საკითხი ცესკო-ს პრეროგატივად გამოაცხადა. ივანიშვილი გადის თამაშიდან და მარტო ტოვებს მარგველაშვილს, რომელიც მისი მორჩილი იქნება. ხელისუფლებაში პრორუსული ძალების მოსასვლელად, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, გარკვეული შუალედი აუცილებელია, რადგან საზოგადოება ამას ერთბაშად ვერ შეეგუება. როცა გვეყოლება პრემიერის ნებით მოსული პრეზიდენტი, მისი ნებით დანიშნული პრემიერი და პარლამენტი, რომელსაც პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ ლეგიტიმურობის დიდი ნაწილი დაკარგული ექნება, ქვეყანაში საკმაოდ ქაოსური პოლიტიკური ვითარება შეიქმნება.

— თქვენ რა გეგმა გაქვთ, საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე უარის მიღების შემდეგ პარიზში წახვალთ და პროცესებს იქიდან დააკვირდებით?

— აქ ვარ და პოლიტიკურ ბრძოლას ვაგრძელებ! ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის არჩევის შემდეგ შეიქმნა ახალი გარემოება და კიდევ ერთხელ შევიტანე განაცხადი პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე. მსურს გავიგო, თამარ ჟვანია რამდენად პრინციპულია. საზღვარგარეთ სიარულიც აუცილებელია, რათა ქართველ ემიგრაციასთან მეტი კონტაქტი მქონდეს. ვხედავ, იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც პოლიტიკური პროცესის გამო წუხან, დღითიდღე იზრდება, ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ჯერ ბოლომდე არაფერი დაკარგულა — საზოგადოება შეძლებს, დასკვნები დროულად გამოიტანოს და შესაბამისადაც იმოქმედოს.

შტეფან ფულე: „ნებისმიერი მუქარა რუსეთის მხრიდან მიუღებელია“

„მოველით, რომ ვილნიუსში დაგეგმილ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე მეზობელთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით“, — ეს განცხადება ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში, შტეფან ფულემ ევროპარლამენტში გამოსვლისას გააკეთა და ისიც დასძინა, რომ ამის გამო ევროკავშირის ზოგიერთ პარტნიორზე უზარმაზარი ზეწოლა ხორციელდება. მისი თქმით, ევროკავშირი ყოველთვის მკაფიოდ გამოხატავდა თავის პოლიტიკას აღმოსავლეთ მეზობლების მიმართ: **„საერთო ინტერესები გვკარნახობს, რომ ჩვენს კონტინენტზე კეთილდღეობისა და სტაბილურობის სივრცის შესაქმნელად აღმოსავლეთ მეზობლებთან ერთად უნდა ვიმუშაოთ“.** ევროკომისარმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ საბაჟო კავშირის წევრობა არ არის თავსებადი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებებთან, რომელთა თაობაზეც ევროკავშირს მოლაპარაკებები ჰქონდა უკრაინასთან, მოლდოვასთან, საქართველოსთან და სომხეთთან: **„ამის მიზეზი არც იდეოლოგიური განსხვავებებია, არც ეკონომიკური ბლოკების შეუთავსებლობა და არც ნულოვან შედეგზე გათვლილი თამაში. მიზეზი ისაა, რომ ეს სამართლებრივადაა შეუძლებელი. შეუძლებელია, მაგალითად, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის მოთხოვნების შესაბამისად, ერთდროულად შეამცირო საბაჟო ტარიფები და გაზარდო ისინი საბაჟო კავშირის წევრობის გამო“.**

შტეფან ფულემ განაცხადა, რომ ნებისმიერი მუქარა რუსეთის მხრიდან, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირთან შეთანხმებების შესაძლო ხელმოწერასთან, მიუღებელია: **„ევრაზიის კავშირის პროექტის შემუშავებისას, აუცილებელია პარტნიორების სუვერენული გადაწყვეტილებების პატივისცემა. ნებისმიერი მუქარა რუსეთის მხრიდან, რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირთან შეთანხმებების შესაძლო ხელმოწერასთან, მიუღებელია. ეს შეეხება ყველა სახის ზეწოლას, მათ შორის, ენერგომატარებლებზე ფასებით მანიპულირებას; ხელოვნურ სავაჭრო ბარიერებს, როგორიცაა იმპორტის აკრძალვა; სამხედრო თანამშრომლობისა და უსაფრთხოების გარანტიებს და გაჭიანურებული კონფლიქტების გამოყენებას. 21-ე საუკუნეში საერთაშორისო ურთიერთობები ასე არ უნდა იმართებოდეს“.**

„ინტერპრესნიუსი“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ახალ შემადგენლობას ვახტანგ ყოლბაია 7 დღეში დაასახელებს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ვახტანგ ყოლბაიას, ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 112 მუხლში მიმდინარე წლის 20 აგვისტოს შეტანილი კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ყველა უფლებამოსილება მიენიჭა.

აფხაზეთის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვახტანგ ყოლბაიას დაევალა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი მთავრობის შემადგენლობა დასამტკიცებლად, სესიას 7 დღის ვადაში წარუდგინოს.

„ინტერპრესნიუსი“



საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკა

საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების ყოველთვიურ გასაჯაროებას. 2013 წლის აგვისტოს თვე 770 608 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2012 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 28,2 %-ით მეტია. რაც შეეხება მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოს ინტერვალს, დასახელებულ შუალედში ჯამურმა რაოდენობამ 3 568 518 ვიზიტი შეადგინა, რაც 26,4%-ით მეტია 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე, ხოლო შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, მონაცემთა ურთიერთმიმართება შემდეგია:

ტურისტი — 1 415 215 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 40%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 18,7%); ტრანზიტი — 758 872 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 21%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 61%); სხვა — 1 394 431 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 39%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 20%). 2013 წლის აგვისტოში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან (+25%), აზერბაიჯანიდან (+21,9%), სომხეთიდან (+26,8%), რუსეთიდან (+44,2%), უკრაინიდან (+59,3%) და ირანიდან (-41,2%) განხორციელდა. ასევე, გარკვეული ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით იანვარ-აგვისტოს თვეებში გამოირჩევა პოლონეთი, ჩეხეთი და ავსტრია (შესაბამისად 72%, 35% და 30%), შუა აზიის ქვეყნებიდან — ყაზახეთის (37%), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან კი ბელორუსიის მოქალაქეები — 64%-იანი მატებით.

„ნიუპოსტსი“

საკეისრო კვეთასთან დაკავშირებით ახალი ბრძანება გამოიცემა

საკეისრო კვეთების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამეგრელოში ფიქსირდება და იგი საერთო მშობიარობის 56%-ს შეადგენს, — საკეისრო კვეთების შესახებ სტატისტიკა, საზოგადოებას ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაშმა გააცნო. მისი თქმით, საკეისრო კვეთის თანაფარდობა საერთო მშობიარობის მაჩვენებლებთან შედარებით, 38%-ს შეადგენს და იგი სულ მცირე ორჯერ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს. ჯაშის განცხადებით, ზოგ რეგიონში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 50%-ზე მეტი საკეისრო კვეთა ფიქსირდება, სამეგრელოში — 56%, იმერეთი — 43%, შიდა ქართლი — 42%. ამასთან, არსებობს სამშობიარო სახლების ჩამონათვალი, სადაც ეს მაჩვენებელი 70%-ს აღემატება. მინისტრის მოადგილის თქმით, მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ საკეისრო კვეთების მაღალი მაჩვენებელი დედის, ასევე ახალშობილის ავადობისა და სიკვდილიანობის რისკს ზრდის. მეან-გენეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაციების მიერ მომზადდა „საკეისრო კვეთების ეროვნული პროტოკოლი“, რომლის მიხედვით, განსაზღვრულია, რა სამედიცინო ჩვენებების შემთხვევაშია გასაკეთებელი ოპერაცია. პროტოკოლი მინისტრის ბრძანებით, ძალაში, სექტემბრიდან შევა.

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს თქმით, სამშობიარო სახლებში ზოგადად, საკეისრო კვეთა არ აიკრძალება, უბრალოდ, მშობიარეებს განემარტებათ რისკების შესახებ, რაც ამ ოპერაციას ახლავს. ასევე, მათ კონსულტაციას გაუწევენ ფიზიოლოგიური გზით ბავშვის დაბადების უპირატესობის შესახებ.

„ინტერპრესნიუსი“

ღვინის ქარხნებთან რიგი რწმუნებულების გადაცდომის გამო დგას?!

როგორ მიმდინარეობს „რთველი 2013“ და რა შინაარსის ზარები შედის „ცხელ ხაზზე“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„რთველი 2013“ აქტიურ ფაზაში შევიდა. წელს, კახეთში 140 000 ტონა ყურძენი დაიკრიფება, ღვინის ქარხნები და კერძო საწარმოები სრულ მზადყოფნაში არიან, მეტიც, 11 სექტემბერს ერთ-ერთმა საწარმომ, 24 საათის განმავლობაში, ყურძნის რეკორდული რაოდენობა — 4 000 ტონა გადაამუშავა. მიუხედავად ამისა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქარხნებთან გრძელი რიგი დგას, რის გამოც გლეხებს მოსავალი ულპებათ. „ვერსიასთან“ ინტერვიუში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ის, ვინც ასეთ ინფორმაციას ავრცელებს, უნამუსოდ ცრუობს. როგორ დაიწყო „რთველი 2013“, რა ვითარებაა კახეთში და დგას თუ არა რიგი ქარხნებთან? „ვერსიის“ კითხვებს ლევან დავითაშვილი პასუხობს:

— ამ ეტაპზე, ყურძნის 30%-ია გადამუშავებული, რაც უხეში შეფასებით, 20 000 ტონაზე მეტია. კახეთში, ყველა ქარხანა და საწარმო, სადაც შესაძლებელია ყურძენი დაიჭყლიტოს და გადამუშავდეს, მუშაობს. მოსავალს ყველა კერძო კომპანია იბარებს. შესაბამისად, სახელმწიფო მინიმალურად ერევა ამ პროცესში. საყურადღებოა, რომ 11 სექტემბერს, ერთ-ერთმა საწარმომ ყურძნის რეკორდული რაოდენობა — 4 000 ტონა, მხოლოდ 24 საათის განმავლობაში გადაამუშავა. საბჭოთა კავშირის შემდეგ, ერთ დღეში, ამ რაოდენობის მოსავალი არ გადამუშავებულა. წელს, უპრეცედენტოდ დიდი მოსავალია და უპრეცედენტოდ დიდია კერძო კომპანიების მზადყოფნაც, რათა მოსავალი ჩაიბარონ. რთველი აქტიურ ფაზაში შედის და ვფიქრობ, რომ ეს პროცესი კარგად ჩაივლის. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დასაბინავებელი ყურძენი არ დარჩება, მაგრამ ამავდროულად, მევენახეებიც, საკუთარი შრომის ანაზღაურების სახით, გარანტირებულად მაღალ ფასს მიიღებენ.

— ბატონო ლევან, ამის მიუხედავად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ღვინის ქარხნებთან გრძელი რიგი დგას. ამბობენ, გლეხებს მოსავალი ულპებათ, რამდენად საგანგაშო ვითარებაა?

— აბსოლუტური სიცრუეა, თითქოს გლეხებს ყურძენი ულპებათ, რადგან ჩვეულებრივ, რთველი 10 სექტემბრის შემდეგ იწყება. ის, ვინც ასეთ ინფორმაციას ავრცელებს, თუ უბრალოდ, მოტივირებული დეზინფორმატორი არ არის, რა თქმა უნდა, ასე უნამუსოდაც არ იცრუებს! რაც შეეხება რიგებს და მოსავლის ჩაბარების პროცედურას, ქარხნებთან ზომიერი რიგი დგას. 13 წელია, ღვინის ინდუსტრიაში ვარ და არ მახსოვს პერიოდი, როდესაც რთვლის დროს, რიგი არ ყოფილიყო. ზოგადად, რიგი ტექნოლოგიურ პროცესთანაა დაკავშირებული, რადგან ვიდრე ქარხანაში ჩაბარებულ ყურძენს ბუნკერში ჩაყრიან და გადაამუშავებენ, ამას გარკვეული დრო სჭირდება. წინა წლებში, მევენახეებს ორი კვირის განმავლობაში უწევდათ რიგში დგომა. ასობით მანქანა იდგა ქარხნებთან, თვალის ასახვევად, ხანდახან მანქანებს მალავდნენ კიდეც. წელს ასე არ არის.

რიგი დგას, მაგრამ ყველაფერი ორგანიზებულია, მევენახემ იცის, რომ ყურძენს რამდენიმე საათში ჩააბარებს და პრემიუმ ფასსაც მიიღებს. ეს კონტროლირებადი პროცესია და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, მართალია, დიდი მოსავალია, მაგრამ გლეხი მოტივირებულია, ჩააბაროს, რაც ქარხნებთან ზომიერ რიგს იწვევს. რიგის გასაკონტროლებლად, ადგილზე, რწმუნებულებს ვთხოვთ, ცნობა გასცენ. ხომ შეიძლება, მთელმა კახეთმა მოინდომოს და ერთ დღეს დაკრიფოს ყურძენი? 140 000 ტონა ყურძენია კახეთში, ქარხნებს კი პიკის დროს, ტექნიკურად მხოლოდ 4 000 ტონის გადამუშავება შეუძლიათ და ესეც რეკორდული მონაცემია. შესაბამისად,

ნაკადი ზომიერი და კონტროლირებადი რომ იყოს, რწმუნებულებს ვთხოვთ, ცნობა იმ რაოდენობაზე გაწერონ, რომლის გადამუშავებაც ქარხანას შეუძლია. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ხშირ შემთხვევაში, რწმუნებულებს აქვთ გადაცდომები — ისინი არ იცავენ თამაშის წესებს და რიგიც ამიტომ დგება. ცალკეულ შემთხვევაში, ეს იმის ბრალიცაა, რომ რწმუნებულებს მევენახეები აიძულებენ, გასცენ ცნობა იმ დროს, როდესაც ქარხანაში საჭირო რაოდენობის სიმძლავრე მზად არ არის. საყურადღებოა ისიც, რომ ბაზარი თავისუფალია, სადაც სახელმწიფო არ ერევა; მეტიც — ფასწარმოქმნის პროცესში, საერთოდ, განზე ვდგავართ. შესაბამისად, ზოგი კომპანია მაღალ ფასად იბარებს ყურძენს, ზოგი — ნაკლებად. რომელი ქარხანაც უფრო მეტ თანხას იხდის, ბუნებრივია, მევენახეც იქ აბარებს მოსავალს. ესეც არის რიგის წარმოქმნის კიდევ ერთი მიზეზი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კომპანია ფასწარმოქმნაში თავისუფალია და მევენახე თვითონ ირჩევს მისთვის სასურველ ქარხანას. თუმცა გიმეორებთ, წინა წლებთან შედარებით, მევენახეებს მხოლოდ რამდენიმე საათით უწევთ ლოდინი.

— „რთველი 2013“-ის ფარგლებში, აქტიურად მუშაობს ცხელი ხაზი. რა შინაარსის ზარები შემოდის და რა პრობლემის მოგვარებას ითხოვენ მევენახეები?

— ძირითადად, საინფორმაციო შინაარსის ზარებია, ანუ მევენახეები ითხოვენ დამატებით განმარტებას, თუ როგორ, ან სად უნდა ჩააბარონ მოსავალი, სუბსიდია რამდენია, თანხას როდის მიიღებენ, სად უნდა აიღონ შესაბამისი ცნობა, როდის დაკრიფონ ყურძენი კონკრეტულად იმ რაიონში. ჩვენ ვეუბნებით, რომ მიმართონ რწმუნებულებს, რომლებსაც ზუსტი ინფორმაცია აქვთ, რა და როგორ უნდა გაკეთდეს, რათა ეს პროცესი კოორდინირებული იყოს. ცხელი ხაზი 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და არცერთ კითხვას არ ვტოვებთ უპასუხოდ. თუ კონკრეტულ რაიონში გარკვეული პრობლემაა, ამისთვის მობილური ჯგუფები გვყავს, რომლებიც ამ პრობლემას ადგილზევე აგვარებენ.

— იმის თქმა გინდათ, რომ „რთველი 2013“ კარგად დაიწყო და კახეთში 140 000 ტონა ყურძნის გადამუშავებას შეძლებთ?

— დიახ, მაგრამ რთველი კარგად კი არა, სანიმუშოდ მიმდინარეობს. ამას იმიტომ კი არ გეუბნებით, რომ ჩვენ ვართ ამ პროცესში ჩართულები, არამედ

წლევანდელი რთველი ბიზნესსერვისის გამართულ მუშაობაზეა ორიენტირებული და არა სოციალური დახმარებების მიღებაზე. ერთი მხრივ, მევენახის ინტერესი სრულად უნდა დავაკმაყოფილოთ, რათა პრემიუმ-ფასად ჩააბაროს მოსავალი; მეორე მხრივ, სახელმწიფომ ხელი არ უნდა შეუშალოს კერძო სექტორს. ამ ფონზე, მგონია, წლევანდელი რთველი სანიმუშოდ ჩაივლის.

2009-2013 წლებში ჩადენილ დანაშაულთა შემზარავი სტატისტიკა

ნიკოლოზ მჟავანაძე: „შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, წელს დანაშაულის მაჩვენებელმა იკლო“

ირუსუდან შელია
557-100-768

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ 2009-2013 წლებში დანაშაულების რაოდენობისა და მედიაში გაშუქებული ფაქტების თანაფარდობასთან დაკავშირებით, ანგარიშის პრეზენტაცია წარმოადგინა. მისი განცხადებით, წინა ხელისუფლების პირობებში, დანაშაულის ფაქტები მედიისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, დღეს კი ამ მიმართულებით ვითარება შეცვლილია და სტატისტიკამაც იკლო. „ვერსია“ ნიკოლოზ მჟავანაძეს ესაუბრა.

— უფლებადამცველთა გაერთიანებამ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების (ყაჩაღობა, მკვლელობა და გაუპატიურება) შესახებ 2009-2013 წლის მონაცემები. აღნიშნული ანგარიშის მომზადების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ რიგი პოლიტიკური პარტიებისა და სხვადასხვა მედიასაშუალებების მხრიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს საქართველოში კრიმინალური შემთხვევების რიცხვმა იმატა და მედია ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას უმალავს. ფაქტია, ამ თემით ხშირად ხდება სპეკულირება და გარკვეული პოლიტიკური ჯგუფები ქვეყანაში ხელოვნურად ცდილობენ ნეგატიური ფონის შექმნას, თუმცა ჩვენს მიერ წარმოებული კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ მედიას სწორედ წინა ხელისუფლება უმალავდა მომხდარი დანაშაულების შესახებ ინფორმაციას.

— ანუ ახალი ხელისუფლების ფონზე, ინფორმაცია არ იფარება?

— არა, პირიქით, ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ობიექტური და ნათელი სურათის მისაღებად ჩადენილი და აღრიცხული დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შსს-დან და მედიამონიტორინგის ორგანიზაციებიდან გამოვითხოვეთ, მისი შესწავლისას კი აღმოჩნდა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, კრიმინალური დანაშაულის მაჩვენებელმა იკლო.

— მაშინ, გაგვიმხილეთ სტატისტიკა, რა მდგომარეობა იყო საპარლამენტო არჩევნებამდე და დღეს რა ვითარებაა ამ მიმართულებით?

— ,,უფლებადამცველთა გაერთიანების“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, 2009 წელს ყაჩაღობის 726 ფაქტი მოხდა, საიდანაც მედიაში მხოლოდ 111 შემთხვევა გაშუქდა. იმავე წელს მკვლელობის 116 შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა საზოგადოებამ მხოლოდ 76 ფაქტის შესახებ მიიღო ინფორმაცია. ამავე წელს, გაუპატიურების 58 ფაქტი დაფიქსირდა, გაშუქდა — 7. ჯამში, 2009 წელს, მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი მხოლოდ 21%-ს შეადგენს. რაც შეეხება 2010 წელს, წლის განმავლობაში 375 ყაჩაღობის ფაქტი დაფიქსირდა, რომელთაგან მედიის საშუალებით, მხოლოდ 49 გახმოვანდა. იმავე წელს მკვლელობის 180 ფაქტი დაფიქსირდა, საიდანაც მხოლოდ 66 შემთხვევა გახდა საჯარო. 2010 წელსვე 65 გაუპატიურების ფაქტია მომხდარი, რომელთაგან საზოგადოებამ მხოლოდ ერთი ფაქტის შესახებ შეიტყო. 2010 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი 18%-ს შეადგენს. დაახლოებით იგივე მდგომარეობა გვაქვს 2011 წელსაც, როცა ყაჩაღობის 259 შემთხვევიდან მხოლოდ 35 გაშუქდა. ამავე წელს მკვლელობის 108 შემთხვევიდან მხოლოდ 74 ფაქტი გახდა ცნობილი. გაუპატიურების 64 შემთხვევიდან კი — 5. 2011 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამური მაჩვენებელი 26,4%-ს შეადგენს. რაც შეეხება 2012 წლის სტატისტიკას, ყაჩაღობის 331 შემთხვევიდან მედიაში 39 ფაქტი გაშუქდა. მკვლელობის 115 ფაქტიდან, 54 შემთხვევა გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი, ხოლო გაუპატიურების 82 შემთხვევიდან მხოლოდ 3 ფაქტის შესახებ გახმაურდა. 2012 წელს მასმედიაში დანაშაულის გაშუქების მაჩვენებელმა მხოლოდ 18% შეადგინა.

— მიმდინარე წლის შვიდი თვის მონაცემებში განსხვავებული ტენდენცია შეიმჩნევა?

— 2013 წლის შვიდი თვის მონაცემების მიხედვით, ყაჩაღობის 212 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან 39 შემთხვევა გახდა საჯარო. მკვლელობის 52 ფაქტიდან კი 50-ის შესახებ შეიტყო საზოგადოებამ. ამავე პერიოდში, გაუპატიურების 38 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან მხოლოდ 7 გაშუქდა. 2013 წელს 7 თვის განმავლობაში, მედიაში დანაშაულის გაშუქების ჯამურმა მაჩვენებელმა 31,7% შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2009-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულისა და ამავე პერიოდში სიახლის სახით განთავსებული ინფორმაციის თანაფარდობა კი ასე გამოიყურება: ყაჩაღობა 1711 შემთხვევიდან, 77 ფაქტი გაშუქდა. მკვლელობა 524 ფაქტიდან საზოგადოებისთვის მხოლოდ 121 შემთხვევა გახდა ცნობილი. ამავე წლებში გაუპატიურების 269 შემთხვევიდან მედიაში მხოლოდ ერთი ფაქტი გახმოვანდა. 2009-2012 წლებში ვებგვერდ www.police.ge-ზე ნიუსის სახით შემთხვევათა მხოლოდ 7% განთავსდა.

— 2013 წლის მდგომარეობით, ვებგვერდზე „ნიუსის“ განთავსების მაჩვენებელმაც იმატა?

— დიახ, 2013 წელს 7თვის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობისა და ვებგვერდზე ამავე პერიოდში „ნიუსის“ სახით განთავსებული ინფორმციის თანაფარდობა შემდეგია: ყაჩაღობის 212 შემთხვევიდან 17 ფაქტი გაშუქდა, მკვლელობის 52 შემთხვევიდან ვებგვერდზე 20 „ნიუსი“ დაიდო, ხოლო გაუპატიურების 38 ფაქტიდან საზოგადოებამ ვებგვერდის საშუალებით სამი შემთხვევის შესახებ მიიღო ინფორმაცია. ჯამში,

2013 წლის შვიდი თვის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულიდან ვებგვერდ www.police.ge-ზე ნიუსის სახით შემთხვევათა 16,5% განთავსდა. შედარებისთვის — 4 წლის განმავლობაში 2009-2012 წლებში ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ჯამური მაჩვენებელი 7%-ს შეადგენს, რაც 2013 წლისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მეტ გამჭირვალობაზე მიუთითებს. წინა წლებთან შედარებით, ნაკლები დანაშაულის არსებობა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა იმაზე მიუთითებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გატარებულმა ღონისძიებებმა, თანამშრომლების გადახალისებამ და ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამ, შესაბამისი შედეგიც გამოიღო. მით უმეტეს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს საპატიმროები ათასობით პატიმარმა დატოვა.

საერთაშორისო გამოცდილებასაც თუ გავეცნობით, როდესაც ამ რაოდენობის პატიმარი პენიტენციალურ სისტემას ტოვებს, დანაშაულების მაჩვენებლის ავტომატურად მატების რისკი საკმაოდ მაღალია, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გატარებული ღონისძიებების შედეგად, დანაშაულმა კი არ მოიმატა, როგორც გითხარით, იკლო. სწორედ ესაა შედეგი, რომ საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით მაღალია, რასაც შსს-ს მიერ ვიზიტორთა შესახებ გამოქვეყნებული ციფრებიც ადასტურებს. კერძოდ, იანვარ-აგვისტოს პერიოდში საქართველოში უცხოელთა 3 568 518 ვიზიტი დაფიქსირდა, რაც 2012 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდთან შედარებით 26,4%-ით მეტია, აქედან 1 415 215 ადამიანი ტურისტი იყო.

შსს-ს აკადემია ერთ-ერთ ყველაზე გამჭვირვალე უწყებად დასახელდა

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია საჯარო ინფორმაციის გაცემის თვალსაზრისით, ყველაზე ანგარიშვალდებულ და გამჭვირვალე დაწესებულებებს შორის დაასახელა.

2012 წლის ივლისი — 2013 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, წარმოდგენილი კვლევის შედეგების პრეზენტაცია და დაჯილდოების ცერემონია სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა. ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა და ფონდ ,,ღია საზოგადოება — საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთი ხუციშვილმა გახსნეს. პრეზენტაციას საჯარო დაწესებულებების, სამინისტროების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსის, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შსს-ს აკადემია ყველაზე გამჭვირვალე საჯარო დაწესებულების ათეულში მოხვდა. ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემავალმა ამ უწყებამ მთელი წლის განმავლობაში გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია დროულად და სრულყოფილად გასცა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორ ნუკრი გელაშვილს ნომინაციაში „2012-2013 წლებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის“ სპეციალური ჯილდო გადაეცა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლების განცხადებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საჯარო ინფორმაციის გაცემა გაუმჯობესდა. არჩევნებამდე არსებული სრულყოფილად გაცემული პასუხების 51%-იანი ნიშნული 81%-მდე გაიზარდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ნიშნული — 30-დან 11%-მდე შემცირდა.

გამჭვირვალე დაწესებულებების გამოვლენა ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს ადიგენის რაიონული სამმართველოს და დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1970 წელს დაბადებული გენადი გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ადიგენის რაიონის სოფელ ხევაშენში, ფერსათის მთის ფერდობზე მდებარე საზაფხულო საძოვარზე, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1970 წელს დაბადებულ ჯემალ სულაბერიძეს სანადირო თოფიდან გასროლით თავის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა გენადი გ. მომხდარიდან მეორე დღეს დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ბრალდებით მიმდინარეობს (სსსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

საქართველოში რეგიონული კინოკლუბები დაარსდება

რეგიონებში ალტერნატიული კინოსივრცის შექმნის მიზნით, პროექტს „დავუბრუნოთ კინოს მაყურებელი“, ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ორგანიზაცია „კინოკლუბი“ ახორციელებს.

ორგანიზაცია „კინოკლუბის“ ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში 12-13 სექტემბერს, ქუთაისში გაიმართება ტრენინგი რეგიონების მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურების თანამშრომლებისა და კულტურის სექტორის წარმომადგენლებისთვის. მონაწილეები გაეცნობიან მუნიციპალური კინოს პოლიტიკის და კულტურის ობიექტის მარკეტინგის არსს, ასევე შეიძენენ შესაბამის უნარებს, რათა შეძლონ მოდერატორის ფუნქციის შესრულება ფილმების ჩვენებებისა და სხვადასხვა კინოღონისძიებების გასამართად.

პროექტის საშუალებით, კინომოყვარულებს თვითრეალიზაციისა და ახალი კლუბური მოძრაობის დაარსების შესაძლებლობა მიეცემა, რომელიც დღეს მსოფლიოში აქტუალურია. პროექტის მიზანია, საქართველოში გაძლიერდეს კინოსექტორი და მაყურებელი დაუბრუნდეს კინოს. რეგიონებში, სადაც ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი ფილმების ნახვა, გაიზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც საშუალება მიეცემათ, ეზიარონ კინოხელოვნებას.

„ინტერპრესნიუსი“

ჩაის ფაბრიკებმა წელს რეკორდულად მცირე მოსავალი მიიღეს

ჩაის ფაბრიკებმა წელს მოსავლის მხოლოდ 20-30%-ის აღება შეძლეს. მარტვილის ჩაის ფაბრიკის დირექტორის თქმით, ამის მიზეზი, უამინდობაა. სტიქიის შედეგად, მოსავლის 70%-ზე მეტი განადგურდა. მიმდინარე სეზონზე დაბალი იყო ჩაის ღირებულება და მისი სარეალიზაციო ფასი ხარჯებსაც ვერ ფარავდა. ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ზოგადად, დარგის დახმარების საკითხი დასმულია და იმედია, კონსულტაციები მალე დაიწყება. მარტვილის ჩაის ფაბრიკა პირველი ხარისხის ჩაის აწარმოებს და მოსავალი მთლიანად უკრაინაში, ექსპორტზე გააქვს.

კატასტროფულად მცირე მოსავალზე საუბრობენ ტყიბულის ჩაის ფაბრიკაშიც. საწარმოს ხელმძღვანელი ამბობს, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, მოსავლის 20%-მდე აღება მოხერხდა. მისი თქმით, ტყიბულის ფაბრიკა ჩაის წარმოებას და ბაზარზე რეალიზაციას თავად ახდენს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ყველა დარგისთვის ბაზარი გახსნილია და მათ თავისუფლად შეუძლიათ პროდუქციის რეალიზაცია. გარდა ამისა, სამინისტროს ცნობით, უკვე მოქმედებს შეღავათიანი კრედიტები და ბანკების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არც ერთ კომპონენტში მეჩაიეების განაცხადი მათთან არ შესულა. სამინისტროს განცხადებითვე, თუ მეჩაიეებს დარგის განვითარების თავიანთი ხედვა აქვთ, შეუძლიათ საკონსულტაციო ცენტრებს მიმართონ და სამინისტრო მათ ყველა წინადადებას განიხილავს.

„კომერსანტი“

გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად 26 909 916 აშშ დოლარის კრედიტი დამტკიცეს

რა დოკუმენტი გადასცეს „ვერსიას“ სოფლის მეურნეობის სამინისტროში და როგორია 100 გადამამუშავებელი საწარმოს ოფიციალური სტატისტიკა რეგიონების მიხედვით?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საზოგადოების სხვადასხვა წრეებში, აქტიური განხილვის საგანი პრემიერ-მინისტრის დაანონსებული, ჯერ 60 და შემდეგ უკვე 100 ახალი საწარმოს შექმნაა. ქართული ოცნების პოლიტიკური ოპონენტები, ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს, ბიძინა ივანიშვილის ამ დაპირებას ხშირად ახსენებენ და ლოგიკურ კითხვას სვამენ — სადაა 100-დან თუნდაც ერთი, ახალი საწარმო?! მეტიც, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, დავით ბაქრაძის წინასაარჩევნო კლიპი მთლიანად „ქართული ოცნების“ შეუსრულებელ დაპირებებს ეძღვნება, სადაც 60 გადამამუშავებელი საწარმოც ფიგურირებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროში „ვერსიას“ ოფიციალური დოკუმენტი გადასცეს, რომელიც სკეპტიკოსებს იმედს გაუცრუებს, რადგან ეს დოკუმენტი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობა და რეგიონების მიხედვით, 100 გადამამუშავებელი საწარმოს სტატისტიკას ასახავს.

აგროკრედიტით 49 ახალი საწარმო შეიქმნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ შეიმუშავა, რომელსაც „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ აფინანსებს, ხოლო „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ახორციელებს.

პროექტი სამი კომპონენტისგან შედგება: პირველი — უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის. 5 000 ლარამდე კრედიტის ფარგლებში, ფერმერს/მეწარმეს საშუალება ეძლევა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმოო საშუალებები (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტპრეპარატები, გარდა სასუქისა) გამოიტანოს; მეორე — ესაა შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის, არაუმეტეს 8%-ის ფარგლებში, 5 000-დან, 100 000 ლარამდე. ამ კრედიტის ფარგლებში, ფერმერს/მეწარმეს დაუფინანსდება საბრუნავი საშუალებები მემცენარეობისთვის, მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებები; მესამე კომპონენტია შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის არაუმეტეს 3%-ის ფარგლებში, რომლითაც ძირითადი საშუალებები და ტექნოლოგიები ხანგრძლივი პერიოდით, 1 000 000 ლარამდე დაფინანსდება.

მესამე კომპონენტით, მინიმუმ, 60 ახალი საწარმოს შექმნაა გათვალისწინებული, რომლის ფარგლებში ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები დაფინანსდება, არსებულ საწარმოებს კი ტექნოლოგიურად გადააიარაღებენ. მათ შორის, გადამამუშავებელ, ინფრასტრუქტურულ და ინტენსიური ტიპის პირველად სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს.

პროექტის ფარგლებში, შეღავათიანი აგროსესხის მიღების მსურველებმა, პროექტში მონაწილე შემდეგ ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს) უნდა მიაკითხონ: ბაზისბანკი, ბანკი რესპუბლიკა, ბანკი ქართუ, ვი თი ბი ბანკი, თი ბი სი ბანკი, კონსტანტა, კორ სტანდარტ ბანკი, ლიბერთი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, საქართველოს ბანკი, ხალიკ ბანკი, კრედო და კრისტალი.

10 სექტემბრის მდგომარეობით, სამივე კომპონენტის ფარგლებში, უკვე 5 364 სესხი გასცეს, რომლის ჯამური თანხა 95 225 158 ლარია. ოფიციალური ინფორმაციით, ამ ეტაპზე, მხოლოდ 49 ახალი საწარმო (start-up) შეიქმნა.

ყველაზე მეტი კრედიტი კახეთში დამტკიცდა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, „ვერსიას“ 100 გადამამუშავებელი საწარმოს შესახებ, ვრცელი ინფორმაცია გადასცეს. ოფიციალური ინფორმაციით, მესამე კომპონენტის ფარგლებში, საქართველოს რეგიონების მიხედვით, უკვე დამტკიცებული სესხების სტატისტიკა ასეთია:

შიდა ქართლი — დამტკიცდა 7 სესხი; კახეთი — 13; ქვემო ქართლი — 13; იმერეთი — 5; მცხეთა-მთიანეთი — 2; სამცხე-ჯავახეთი — 2; აჭარა — 2; გურია — 2; სამეგრელო — ერთი სესხი; თბილისი (წყნეთი) – ერთი სესხი. ესაა ინფორმაცია, რომელიც რეგიონებში, მხოლოდ ახალი საწარმოების (start-up) შექმნას ეხება.

სამივე კომპონენტის ფარგლებში, საქართველოს რეგიონების მიხედვით, სტატისტიკური მონაცემები კი მართლაც შთამბეჭდავია. მაგალითად, პირველი კომპონენტის ფარგლებში, 2 685 ბენეფიციარზე, 1 106 478 ლარის სასაქონლო განვადება გასცეს. მეორე კომპონენტში — 2 477 ბენეფიციარზე, 49 380 943 ლარის კრედიტია გაცემული, ხოლო მესამე კომპონენტში — 205 ბენეფიციარზე, 26 909 916 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) კრედიტი გაიცა.

რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სესხი კახეთის რეგიონში დამტკიცდა. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით, 969 ბენეფიციარმა ისარგებლა. მესამე კომპონენტში, მესაქონლეობაზე — 30, ღვინის წარმოებაზე — 19, პროდუქციის შესანახ საწყობებზე — 6, ხოლო რძის გადამუშავებაზე — 4 სესხია გაცემული. მეორე კომპონენტში, მესაქონლეობაზე — 701, მარცვლეულის წარმოებაზე — 91, მევენახეობაზე — 25, მეთევზეობაზე — 19 პროექტი განხორციელდა. გარდა ამისა, დაფინანსებულია მელორეობა, მეფუტკრეობა, მეფრინველეობა, სასათბურე მეურნეობა, მებაღეობა, მებაღჩეობა, მებოსტნეობა და შერეული საწარმოები.

კახეთის შემდეგ, ყველაზე მეტი, ანუ 461 სესხი შიდა ქართლში გასცეს. მეორე კომპონენტში, მესაქონლეობაზე — 200, მებოსტნეობაზე — 107, მებაღეობაზე — 40, შერეულ საწარმოებზე — 36, ხოლო მარცვლეულის წარმოებაზე — 27 პროექტი განხორციელდა. რაც შეეხება მესამე კომპონენტს, პროდუქციის შესანახი სამი მაცივარი, სამი სასათბურე მეურნეობა და პროდუქციის შესანახი ორი საწყობი მოაწყვეს. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, შიდა ქართლის რეგიონში თევზის გადამუშავების, მარცვლეულის წარმოების, მეფრინველეობისა და შესაფუთი მასალების წარმოების პროექტებიც დააფინანსეს.

ქვემო ქართლში 408 პროექტი დაფინანსდა. ამ რეგიონში, მეორე და მესამე კომპონენტის ფარგლებში, ყველაზე მეტი სესხი მესაქონლეობაზე გაიცა.

კერძოდ, მესამე კომპონენტში, მესაქონლეობაზე — 24, მეფრინველეობაზე — 4, რძის გადამუშავებაზე — 4, პროდუქციის შესანახ საწყობზე — 3 პროექტი დამტკიცდა. მეორე კომპონენტში, მესაქონლეობაზე სესხით 313-მა, მებოსტნეობაზე კი 27-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. გარდა ამისა, ქვემო ქართლში დაფინანსდა მეთევზეობის, მელორეობის, მეფუტკრეობის, მეფრინველეობისა და მარცვლეულის წარმოების პროექტები.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, იმერეთის რეგიონში 270 კრედიტი გასცეს. მეორე კომპონენტში, სასათბურე მეურნეობაზე — 180, მესაქონლეობაზე — 23, მეფუტკრეობაზე — 18, ხოლო მეფრინველეობაზე — 11 პროექტი განხორციელდა.

დასასრული მე-9 გვერდზე

„საქართველოს ბანკი“ დიდ ბრიტანეთში სტუდენტების სწავლას სრულად დააფინანსებს

ბანკი Chevening-ის სტიპენდიების პროგრამის პარტნიორი გახდა!

„საქართველოს ბანკი“ პირველი ქართული კომპანიაა, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის გლობალური, ჩევნინგის პროგრამის (ფინანსდება ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ) პარტნიორი გახდა. ბანკის დამსახურებით, საქართველოს სამი სტიპენდიანტი სტუდენტი, მომავალ სასწავლო წელს (2014-2015) სწავლას დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტში გააგრძელებს — ინფორმაცია ამის შესახებ მას შემდეგ გავრცელდა, რაც ქვეყნის წამყვან ბანკსა და ჩევნინგის პროგრამას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ბანკის გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის განმარტებით, „საქართველოს ბანკის“ დამსახურებით, სამომავლოდ, საქართველოდან, დიდ ბრიტანეთში მაგისტრის ხარისხის მიღების საშუალება ორჯერ მეტ სტუდენტს მიეცემა.

ირაკლი გილაური, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი: **„მოხარული ვარ, საზოგადოებას ვაცნობო „საქართველოს ბანკის“ მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივის შესახებ. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს, საქართველოდან სტუდენტების მხარდაჭერას, ვისაც სწავლის გაგრძელება სურს დიდ ბრიტანეთში. „საქართველოს ბანკი“ დაუკავშირდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სტიპენდიების პროგრამას, რათა ხელი შეუწყოს მოტივირებულ და მიზანდასახულ ახალგაზრდებს, გაემგზავრონ დიდ ბრიტანეთში ერთი წლით, მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. „საქართველოს ბანკი“ გახდა ჩევნინგის საპარტნიორო სქემის მონაწილე პირველი ქართული კომპანია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, საქართველოდან მიიღონ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხარისხის განათლება. ჩვენ შესაძლებელს ვაძლევთ ორჯერ მეტ საქართველოს მოქალაქეს, ისწავლოს დიდ ბრიტანეთში. მინდა, წარმატება ვუსურვო ყველა პოტენციურ აპლიკანტს და მადლობა გადავუხადო დიდი ბრიტანეთის საელჩოს საქართველოში, „საქართველოს ბანკის“ ინიციატივის უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერისთვის და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის“.**

საგანგებო ღონისძიებას, რომელიც დიდი ბრიტანეთის საელჩოში ჩატარდა, ჩევნინგის კურსდამთავრებულები, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესწრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. **„მოხარული ვარ, ვუმასპინძლო წარმატებულ სტუდენტებს, რომლებიც ცოტა ხანში გაემგზავრებიან დიდ ბრიტანეთში სწავლის გასაგრძელებლად. ჩევნინგის პროგრამა საოცარ შესაძლებლობებს აძლევს ბევრ ადამიანს მთელ მსოფლიოში. მე ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ის უკვე 17 წელია წარმატებით ვითარდება. წელს ჩვენ ჩევნინგის პროგრამის 30 წელს აღვნიშნავთ და იმედი გვაქვს, ჩევნინგის სტიპენდიები კვლავ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მოიზიდავს. დღევანდელი დღე განსაკუთრებულია, ვინაიდან „საქართველოს ბანკი“ მხარს დაუჭერს კიდევ უფრო მეტ ნიჭიერ ადამიანს, მეტი სარგებელი მიიღოს ამ სქემიდან“,** — განაცხადა დიდი ბრიტანეთის ელჩმა ალექსანდრა ჰოლ ჰოლმა.

ჩევნინგის პროგრამა 1983 წელს დაარსდა. არსებობის 30 წლის თავზე იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო სქემად ჩამოყალიბდა. ჩევნინგის სტიპენდიანტები მსოფლიოს 118 ქვეყნიდან არიან და მხოლოდ წელს, მსოფლიოს მასშტაბით 600 სტიპენდიანტი იქნება. ჯამში, მსოფლიოში 42 000 ჩევნინგის კურსდამთავრებულია. ისინი მსოფლიოში ერთ- ერთ ყველაზე გავლენიან და პატივსაცემ გლობალურ ქსელს წარმოადგენენ.

ინფორმაცია Chevening/Bank of Georgia ერთობლივი სქემის მომავალ წელს, სტიპენდიაზე განაცხადების შეტანასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

ნინო ლურსმანაშვილი

გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად 26 909 916 აშშ დოლარის კრედიტი დაამტკიცეს

მე-8 გვერდიდან

რაც შეეხება მესამე კომპონენტს, აქ 17 სესხი სასათბურე მეურნეობაზე, მესაქონლეობაზე — 4 და მეფრინველეობაზე — 4 სესხი გაიცა. პროექტის ფარგლებში, იმერეთში დაფინანსებულია მეღორეობა, თხილის გადამუშავება, მარცვლეულის წარმოება და მებოსტნეობა.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 109 პროექტი დაფინანსდა. მათ შორის, მეორე კომპონენტში, მესაქონლეობაზე — 78, მებოსტნეობაზე — 11, ხოლო მეთევზეობაზე — 5 სესხი გასცეს. გარდა ამისა, დაფინანსდა მეფუტკრეობა, სასათბურე მეურნეობა, მებოსტნეობა და მარცვლეულის წარმოება. მესამე კომპონენტის ფარგლებში, 8 პროექტი დამტკიცდა, აქედან მესაქონლეობის — 4, რძის საწარმოს — 3, ხოლო შერეული გადამამუშავებელი საწარმოს ერთი სესხი დაფინანსდა. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 86 სესხი სამეგრელოს რეგიონში გასცეს. მესამე კომპონენტში, 10 კრედიტიდან, 5 — თხილის გადამამუშავებელი საწარმოა, 2 — მესაქონლეობა, თევზის გადამუშავება — 1, სასათბურე მეურნეობა — 1 და მარცვლეულის წარმოება — 1. რაც შეეხება მეორე კომპონენტს, გაცემული 76 სესხიდან, 38 — მესაქონლეობაა, 10 — მარცვლეულის წარმოება, 9 — სასათბურე მეურნეობა. გარდა ამისა, სამეგრელოში დაფინანსებულია მეთევზეობა, მეფუტკრეობა, მებოსტნეობა და თხილის გადამამუშავებელი წარმოება. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სესხი 58-მა ბენეფიციარმა მიიღო. მეორე კომპონენტში, 35 პროექტი დაფინანსდა მესაქონლეობაზე, 5 — მეფრინველეობაზე, 4 — მებოსტნეობაზე. კრედიტი გაიცა მარცვლეულის, შერეული საწარმოების, სასათბურე და მეფრინველეობა-მეცხოველეობის დარგების მიხედვით. მესამე კომპონენტში, პროდუქციის შესანახ საწყობზე 6 სესხი დამტკიცდა, თუმცა სესხები გაიცა მესაქონლეობაზე, ცხოველების საკვების წარმოებასა და შერეულ სასათბურე მეურნეობაზეც.

ოფიციალურ სტატისტიკაში თბილისის მონაცემებიც შედის, მაგრამ აქ იგულისხმება თბილისის ტერიტორიულ საზღვრებს მიკუთვნებულ სოფლებში არსებული, ფერმერული მეურნეობები. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, თბილისში 40 სესხი დაფინანსდა, მათ შორის, მესამე კომპონენტში — 13 სესხი, ღვინის წარმოებაზე — 3 და მეფრინველეობაზე — 2 სესხი გასცეს. მეორე კომპონენტში, 13 სესხი მესაქონლეობაზე გაიცა, მარცვლეულის წარმოებაზე — 2 და სასათბურე მეურნეობაზე — 2 სესხი. დამტკიცებული პროექტები მიმართულია მებაღეობის, მებოსტნეობისა და მეფრინველეობის დარგის განვითარებისთვის. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, აჭარის რეგიონში სესხი 22-მა ბენეფიციარმა მიიღო. მეორე კომპონენტში, მესაქონლეობაზე — 7, მეთევზეობაზე — 6 და მეფუტკრეობაზე — 4 სესხი გასცეს. გარდა ამისა, დაფინანსდა სასათბურე მეურნეობა და მებაღეობა. რაც შეეხება მესამე კომპონენტს, კრედიტები სასათბურე მეურნეობის, მეთევზეობისა და შერეული საწარმოს მიმართულებით დაამტკიცეს.

გურიის რეგიონში, 18 სესხი გასცეს, მათ შორის, მეორე კომპონენტში, მესაქონლეობაზე — 6, მეფუტკრეობაზე — 4, მეფრინველეობაზე — 2 სესხი დამტკიცდა. მესამე კომპონენტის ფარგლებში, გურიაში თხილის გადამამუშავებელი სამი საწარმო შეიქმნა, სესხები გასცეს მეფუტკრეობასა და პროდუქციის შესანახი მაცივრების დაფინანსებაზეც. გურიის რეგიონში, მებაღეობა და სასათბურე მეურნეობაც დააფინანსეს.

პროექტის ფარგლებში, 6 კრედიტი გასცეს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში. მეორე კომპონენტში მესაქონლეობის, მევენახეობისა და სასათბურე მეურნეობების მიმართულებით, 5 სესხი, ხოლო მესამე კომპონენტში, ღვინის წარმოებაზე — ერთი სესხი გასცეს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, შალვა ფიფიას ინიციატივით, „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტს“ უკვე მეოთხე და მეხუთე კომპონენტიც დაემატა. მეოთხე კომპონენტი, ანუ შეღავათიანი აგროლიზინგი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი საწარმოებისა და დანადგარების განვითარებას ეხება. შეღავათიანი აგროლიზინგით ის საწარმოები ისარგებლებენ, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ქმნიან (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა), ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნებისმიერი სახით გადამუშავებას (შენახვა, დაფასოება, გადამუშავება), ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს. მეხუთე კომპონენტის ფარგლებში, შეღავათიანი სესხები ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის გაიცემა. ესაა 15-თვიანი სესხი 12-დან 15%-მდე, რომლის 9%-ს სახელმწიფო დაფარავს.

ენერგეტიკის სამინისტრო ინვესტორებთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ენერგოსექტორში უკვე მომუშავე და ასევე, პოტენციურ ინვესტორებს შეხვდა. მინისტრმა ინვესტორებს „საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებები გააცნო. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი რეგულაციების მიხედვით, სამინისტრო ინვესტორებთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადადის და მათ მოქნილ წესებს სთავაზობს, რაც ენერგეტიკაში საინვესტიციო გარემოს გააუმჯობესებს და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. კონკრეტულად — შემცირდა სამშენებლო გარანტიის მოცულობა, რომელიც ინვესტორს სამინისტროსთვის მემორანდუმის გაფორმებამდე უნდა წარედგინა და ორსაფეხურიანი სისტემა ამოქმედდა.

1 მგვტ-ზე ინვესტორი ვალდებულია, 5 ათასი აშშ დოლარის წინასამშენებლო გარანტია, ხოლო შემდგომ 1 მგვტ-ზე 100 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სამშენებლო გარანტია წარმოადგინოს, ხოლო 100 მგვტ-ზე ზემოთ დადგმული სიმძლავრის ჰესის მშენებლობის შემთხვევაში, 1 მგვტ-ზე 50 ათასი აშშ დოლარი. ძველი წესებით, ინვესტორი ვალდებული იყო, სახელმწიფოსთვის 1 მგვტ-ზე 170 ათასი აშშ დოლარის გარანტია წარედგინა.

ამოქმედდა დაჯარიმების ახალი წესებიც. მემორანდუმით დადგენილ ვადაში, ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების ან ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ინვესტორი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული მთლიანი თანხის 0,5%-ით დაჯარიმდება. ძველი რეგულაციებით, კომპანია სამშენებლო გარანტიით განსაზღვრულ თანხებს მთლიანად კარგავდა.

„ინტერპრესნიუსი“

სამართლიანობის აღდგენას მეცნიერებათა აკადემიაშიც ელიან

„პირველად საქართველოში“; „ჩვენ პირველებმა“; გაუთავებელი „ჩვენ“ და „პირველად“ ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლების უსაყვარლესი გამოთქმებია. სამწუხაროდ, წიგნიერებასთან შორსმყოფ ადამიანს, ყოველ ხელისუფალს ლამის მესიის მახვილად რომ აღიქვამს, ნაციონალი ორატორები იოლად არწმუნებდნენ სააკაშვილისა და მისი კოჰორტის უძლეველობაში, პირველობაში, რეფორმატორობაში. ნაციონალთა ცხრაწლიანმა მმართველობამ გვაჩვენა, როგორი ვაჟკაცები და რეფორმატორებიც იყვნენ. ყველაფერი, რაც ქართველობისთვის ძვირფასი იყო, ფეხქვეშ გათელეს. მამული საკუთარ უგუნურობას (თუ ანგარებას) შეწირეს, ენა დააკნინეს, სარწმუნოება აბუჩად აიგდეს.

დარწმუნებული ვარ, ქართული საზოგადოება (ალბათ, მართლმსაჯულებაც) საკადრისად განსჯის ნაციონალ-მაოხრებელთა „საგმირო“ საქმეებს, ეს ყბადაღებული, თავსმოხვეული კოჰაბიტაციაც დასრულდება და სამართალი იზეიმებს. ცხადია, იოლი არ იქნება იმ ხლართებიდან თავის დაღწევა, რომელშიც ქვეყნის ყველა სასიცოცხლო დარგი გააბა სააკაშვილის ხელისუფლებამ. სურვილთან ერთად, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება „პირველადქმნილი“ ბევრი უვიცობის (ბოროტებისაც) შედეგად დაზიანებულის და დანგრეულის აღსადგენად.

პარადოქსი – ნაციონალებისთვის იდეაფიქსი იყო ყოველივე ეროვნულის მოსპობა, ცხოვრების „სუფთა“ ფურცლიდან დაწყება და მჭევრმეტყველური ოპუსებით ცუდმედიდობა. ფასადსმიღმა კი, მეთოდურად ნადგურდებოდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლება, მეცნიერება... სესხად აღებული მილიარდები ხმარდებოდა მოჩვენებითი კეთილდღეობის პიარს და იმ გზების დაგებას, ხელისუფლებაში ცალი კალოშით მოსული არაერთი ნაძირალა მილიონერად რომ აქცია.

განსაკუთრებული მოწადინებით მოსპეს ნაციონალებმა ქართული მეცნიერებათა აკადემია. ნაციონალმა ჰეროსტრატეებმა იდეოლოგიური საფანელიც მოუძებნეს ამ ფაქტს – აკადემია სტალინისა და ბერიას მიერ შექმნილი საბჭოური სისტემაა და უნდა დაინგრესო. სინამდვილეში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია შექმნილი იყო გერმანული პრაქტიკიდან აღებული დახვეწილი მოდელით. ეს მოდელი დაანგრიეს 2006 წელს, როცა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები აკადემიას ჩამოაშორეს და განათლების სამინისტროს გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. აკადემიკოსები – ხანდაზმული, ღვაწლმოსილი მეცნიერები, ხელისუფლებას არ ან ვერ დაუპირისპირდნენ (ამის მიზეზი, ალბათ, მათი ასაკიც იყო). ასე იქცა ერთ დროს მსოფლიო მნიშვნელობის, უდიდესი სამეცნიერო ცენტრი ბუტაფორიად, დაშანტაჟებული (რეალური იყო მათთვის შემოსავლის გადაკეტვის საფრთხე), დამსახურებული ადამიანები კი ხელისუფლების ხელისშემყურეთა დასად.

სამწუხაროდ, მაშინ აკადემიამ ვერ გადაარჩინა მეცნიერება. ალბათ, ამ ყველაფრის გამოძახილი და ახალი რეალობის წყალობა იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრების მიერ აკადემიის ხელმძღვანელობის შეცვლა. მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს – ამ თანამდებობაზე ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე აირჩიეს.

ახლა, დიდია მოლოდინი, რომ ეროვნული აკადემია აღიდგენს ფუნქციას, დაიბრუნებს ძველ დიდებას და სტატისტობიდან კვლავ ცოცხალ, შემოქმედებით სამეცნიერო საქმიანობას შეუდგება. მოსალოდნელ კარდინალურ ცვლილებებს სათანადო გუნდიც სჭირდება – ისეთი, გამოცდილებასთან ერთად, სიახლისადმი სწრაფვაც რომ ექნება. და კიდევ, ტრადიციებისადმი ერთგულება და იმ ზედწოდების გამართლების სურვილი, რომელიც აკადემიის დასახელებაშია და მის ეროვნულობას აღნიშნავს.

მეცნიერებათა აკადემიის საყრდენი, მისი არსებობის მთავარი მახასიათებელი იყო ქართველოლოგიური მიმართულებები, ის დარგები, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის ისტორიას, ენას, ლიტერატურას, ფსიქოლოგიას იკვლევენ.

სწორედ ამიტომ, დაარსების დღიდან – 1941 წლის თებერვლიდან, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ყოველთვის იყო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენელი.

სამწუხაროდ, ამჯერად, ტრადიციას ანგარიში არ გაუწიეს და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად ფიზიოლოგი თემურ ნანეიშვილი აირჩიეს. მისი კანდიდატურა ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, გიორგი კვესიტაძემ წარადგინა. ფაქტობრივად, აკადემიის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტიც ბიოლოგიურ მეცნიერებათა წარმომადგენლები არიან. აკადემიის საერთო კრებაზე, რამდენიმე მეცნიერის პოზიცია, მუნდირის ღირსების დაცვაზე მეტად, სამართლიანობის აღდგენის სურვილი იყო.

აკადემიკოსი **მარიამ ლორთქიფანიძე**: **„ტრადიციულად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ვიცე-პრეზიდენტი ჰუმანიტარული დარგის წარმომადგენელი იყო. არ შეიძლება იმ დიდი მიმართულების იგნორირება, რომელმაც განსაზღვრა ქართული აკადემიის შექმნა. საუბარია ქართველოლოგიურ დარგებზე. არ ვიცი, რატომ აირჩიეს ვიცე-პრეზიდენტად იმავე დარგის წარმომადგენელი. ალბათ, ამას ჰქონდა რაღაც საფუძველი, მაგრამ, რაკი ასე მოხდა, აუცილებელია, შეიქმნას ვიცე-პრეზიდენტის კიდევ ერთი შტატი ჰუმანიტარული დარგებისთვის.**

კრებაზე აღვნიშნე, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქვეყნო აღიარებაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ფუნდამენტურ დარგებს, რომლებიც ფრიად საფუძვლიანად არის წარმოდგენილი. ვთქვი ისიც, რომ ჩვენი აკადემიის დაარსებაც და არსებობაც, ძირითადად, ქართველოლოგიით არის გაპირობებული. რომ არა ეს დარგები, აკადემია ვერ იარსებებდა. ის, რომ ქართველოლოგიური კვლევებით დაინტერესდნენ უცხოელი მეცნიერები (ამერიკაში, იაპონიაში, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში), უპირველეს ყოვლისა, იმის წყალობაა, რომ აქ, ჩვენთან არსებობს ძველი, ტრადიციული ქართველოლოგიური სკოლა. ამ მიმართულების ინსტიტუტები, იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლების დროსაც დიდ საქმეს აკეთებდნენ და, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, აუცილებელია მიმართულებას, ვიცე-პრეზიდენტის სახით, ჰყავდეს ხელმძღვანელი.

ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მიპასუხა: აი, ბატონო, ქართველოლოგიური დარგის ამდენი სპეციალისტი არის აკადემიის სამეცნიერო საბჭოში, აკადემიკოს-მდივნად ქართველოლოგია არჩეული და მიმართულება დაჩაგრული არ არისო. ვუპასუხე, რომ ეს საქმეს არ ცვლის. დარგს უნდა ჰყავდეს თავის პატრონი. ერთი-ორი შემთხვევაც გავიხსენე – კერძოდ, ვთქვი, ქართველოლოგი ვიცე-პრეზიდენტი რომ არა, გაძნელდებოდა რუს, სომეხ და სხვა ქვეყნების მეცნიერებთან დისკუსიების მოწყობა, პოლემიკური სტატიების გამოქვეყნება...

ბატონმა კვესიტაძემ ანგარიშგასაწევად მიიჩნია ჩემეული არგუმენტები. ჩემს პოზიციას ბევრმა დაუჭირა მხარი. მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, მაშინ ეს საკითხი ვერ გადაწყდა. აკადემიის პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ივლისში შეიკრიბებოდა აკადემიის საერთო კრება (აკადემიის უმაღლესი ორგანო) და ეს საკითხი იქნებოდა დღის წესრიგში. მაშინ ამ პირობით დავშორდით ერთმანეთს. სამწუხაროდ, ივლისში ნავარაუდევი საერთო კრება აღარ ჩატარებულა და საკითხიც ღიად არის დარჩენილი. იცით, საქმე რა არის, ჩემი და ბატონ ოთარ ჯაფარიძის (მან პირველმა დამიჭირა მხარი) შემდეგ, გამობრძანდა ბატონი ელიზბარ ჯაველიძე, რომელმაც მხარი დაგვიჭირა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატიც დაასახელა. ბატონმა გურამ ლორთქიფანიძემ და რამდენიმე გამომსვლელმა, მოიწონეს ეს წინადადება. მაგრამ... არის ერთი „მაგრამ! როგორც წესი, ვიცე-პრეზიდენტის დასახელებაში პრიორიტეტული უფლება აკადემიის პრეზიდენტს ეკუთვნის. პრეზიდენტის მიერ დასახელებული ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურის ბედი შემდგომ ფარული კენჭისყრით გადაწყდება“.

აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე**: **„გლობალიზაციის პროცესი იქითკენ არის მიმართული, რომ ერთი თარგით გამოჭრას და ერთ თაღქვეშ მოაქციოს ყველაფერი. ეს არის ბრძოლა მსოფლიო ბატონობისთვის. ამ მიზნის მიღწევისთვის სულაც არ არის საჭირო იარაღი და ბატალიები. შეტევის ობიექტი ხდება ამა თუ იმ ხალხის ეროვნული ცნობიერება და კულტურული გარემო. ეკონომიკურ ბერკეტებთან ერთად, ეს არის ყოველივე ტრადიციულის ამოშანთვის და ახალი, ზნეობამოკლებული ღირებულებების დამკვიდრეობის სტრატეგიის განმსაზღვრელი. ამ მიზანს ემსახურებოდა ნებისმიერი რევოლუცია და რევოლუციით მოსული ხელისუფლება. ასე მოხდა ჩვენთანაც. დაიწყეს სკოლის განათლების სისტემის ნგრევით. მერე მოდგნენ უნივერსიტეტს – ქართული ცნობიერების უმთავრეს ცენტრს. ისტორიულ შენობას გაყიდვაც კი დაუპირეს. 5000 თანამშრომელი გაათავისუფლეს. ვინც ხმა ამოიღო, ჯერ გამოკეტეს, აბუჩად აიგდეს, შემდეგ, პოლიციის ძალით, ღვაწლმოსილი ადამიანებიც გამოაძევეს და სასწავლო პროცესი უვიცებს ჩააბარეს. თავად განსაჯეთ, ივანე ჯავახიშვილის სავარძელში იჯდა ვინმე კვიტაშვილი, მეცნიერებასთან არანაირი კავშირი რომ არა აქვს. განათლების სამინისტროს რომ ვხელმძღვანელობდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ეროვნული კაცი, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე, როინ მეტრეველი იყო. 13 წელი ხელმძღვანელობდა ბატონი როინი უნივერსიტეტს და, როგორც კი ნაციონალებმა უნივერსიტეტს შეუტიეს, გადადგა.**

დასასრული მე-11 გვერდზე

ვერსიანიუსი

„თამარ ჟვანია იქნება სამართლიანი არჩევნების გარანტი“

ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. თამარ ჟვანიას კანდიდატურას ცენტრალური საარჩევნო კომისიის ექვსივე წევრმა დაუჭირა მხარი. მათ არჩევანი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ სამ კანდიდატს — თამარ ჟვანიას, კონსტანტინე ამირაჯიბსა და მანუჩარ გამყრელიძეს შორის უნდა გაეკეთებინათ. ჟვანიას კანდიდატურა პრეზიდენტს 11-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ შესთავაზა. არჩევის შემდეგ ახალმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცესკო მაქსიმალურად გამჭვირვალე და კანონმორჩილი ადმინისტრაცია იქნება: **„ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა ჩემს ცხოვრებაში. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, განსაკუთრებით არასამთავრობო სექტორს, პოლიტიკურ მხარეებს, რომელთა კონსენსუსის საფუძველზე ვიყავი როგორც წარდგენილი, ასევე არჩეული. ეს იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების წინ. მე, როგორც თავმჯდომარემ, საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებში, მინდა, ჩვენს ამომრჩეველს ვუთხრა, რომ ვიქნებით მაქსიმალურად გამჭვირვალე, კანონმორჩილი ადმინისტრაცია, აუცილებლად ვიქნებით პროფესიონალები, რა თქმა უნდა, მიუკერძოებლები... მთავარია, ყველამ ერთად მოვიპოვოთ ნდობა და საპრეზიდენტო არჩევნები იყოს საუკეთესო, რაც საქართველოში აქამდე ჩატარებულა“.**

თამარ ჟვანიას არჩევას საქართველოს პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა და მიესალმა. ბიძინა ივანიშვილის თქმით, თამარ ჟვანია, რომელიც იყო გაერო-ს საარჩევნო პროგრამების კოორდინატორი და რომელსაც მხარს უჭერს ყველა პოლიტიკური ძალა და სამოქალაქო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა, იქნება გარანტი, რომ ოქტომბერში პრეზიდენტის არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდება: **„თამარ ჟვანია არის კანდიდატურა, რომელსაც მხარს უჭერენ წამყვანი პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოება. მჯერა, ის გამოიყენებს თავის გამოცდილებას, რათა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება თავისუფალ და სამართლიან გარემოში“.**

პრემიერი მიესალმება, რომ ხელისუფლების, ოპოზიციური პარტიებისა და წამყვანი სამოქალაქო საზოგადოების შეთანხმების შედეგად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თამარ ჟვანიას კანდიდატურა დაამტკიცა.

თამარ ჟვანია იყო ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) აღმასრულებელი დირექტორი. 2007 წელს მან მუშაობა დაიწყო თბილისში, გაერო-ს განვითარების პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს საარჩევნო დახმარების უზრუნველყოფას.

„ვერსიანიუსი“

„ქართველების ოცნებები იმედგაცრუებად გადაიქცა“

„ბიძინა მესია არ არის!“ — ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას ბრიტანული გამოცემა The Economist საქართველოს პრემიერ-მინისტრზე. **„ივანიშვილის თქმით, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მისი პოლიტიკიდან წასვლის მთავარი მიზანი ის არის, რომ იგი არ გახლავთ მესია“,** — წერს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ საქართველოს რთული ურთიერთობა აქვს პოლიტიკურ მხსნელებთან.

ჟურნალისტისვე მტკიცებით, ეს ბედი გაიზიარეს დამოუკიდებელი საქართველოს ყოფილმა ლიდერებმა – ზვიად გამსახურდიამ, ედუარდ შევარდნაძემ და ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა: **„ქართულ საზოგადოებას თითოეული მათგანის მიმართ უდიდესი, არარეალისტური მოლოდინი ჰქონდა, თუმცა სანაცვლოდ, მცირედ შესრულებული დანაპირები მიიღეს. რეალურად, ქართველებმა დაინახეს, რომ მათი ოცნებები ღრმა იმედგაცრუებად გადაიქცა“.**

სტატიის ავტორი ციტირებს ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ 2011 წლის ოქტომბერში პოლიტიკაში იმისთვის მოვიდა, საქართველოს პოლიტიკურ მესიებზე დამოკიდებულება დაესრულებინა და თავადაც ერთ-ერთი მათგანი არ გამხდარიყო.

„ის ყოველთვის აცხადებდა, რომ საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე მცირე ხნით დარჩებოდა. მისი შემდეგი მიზანი იმის უზრუნველყოფაა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ ხელისუფლებაზე ეფექტური კონტროლის მოხდენა შეძლოს“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ყოფილა საქართველოს პოლიტიკური მხსნელი, როცა ეს საჭირო იყო.

სტატიის ავტორის თქმით, 2011 წლის პოლიტიკური კამპანიის დროს დაწერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ორი ღია წერილის ტონი, სწორედ რომ კვაზიმესიანური იყო: **„ხელისუფლებაში მოსასვლელ ბრძოლაში გამარჯვებისთვის მან ხალხს შესაძლებლობა მისცა, ყველანაირი მოლოდინი მასზე დაემყარებინათ. მიუხედავად იმისა, რომ იგი მსუბუქად აკრიტიკებს (ლანძღავს) ქართველებს მისი გადაჭარბებული ნდობისთვის, ახლა ის სთხოვს მათ, ეს ნდობა მისი პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებისკენ მიმართონ. ივანიშვილის მოკლე პოლიტიკური კარიერა, ნებისმიერი სტანდარტით, შესანიშნავი იყო. ერთი წლის განმავლობაში მან შეარყია (გატეხა) სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობის მთავრობა, რომელიც მანამდე უძლეველი იყო. სხვა ვერავინ შეძლო ეს: ივანიშვილის ქონებამ და პოპულარობამ (რომელიც მის ფილანტროპობაზე დამყარდა) შესაძლებლობა მისცა მას, გაეერთიანებინა ოპოზიცია და გამკლავებოდა მთავრობას, რომელიც ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ბინძური ბრძოლებისთვის იყო მზად“.**

ბრიტანულ გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიაში ასევე აღნიშნულია ის, რასაც NDI-ის წინასაარჩევნო კვლევაც ცხადყოფს — საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, საქართველოში დემოკრატიის უკეთესი ხარისხია, საარჩევნო გარემო კი უფრო გამჭვირვალე, ვიდრე გასულ წლებში.

Georgian politics

Bidzina is not the messiah

Sep 10th 2013, 11:56 by G.E. | TBILISI

0 Tweet

AFP

IT IS a phrase more readily associated with Monty Python's "The Life of Brian", a comic film with a cult-like following. On September 2nd, Bidzina Ivanishvili, the Georgian prime minister, released an open letter to explain his decision to leave his position shortly after the presidential elections on October 27th. The main reason, he says, is that he is not the messiah.

„ასეთ შემთხვევაშიც კი, ეს პოზიტიური განვითარებები მყიფე რჩება. NDI აგრეთვე გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას პოლიტიკურ მოტივირებულ ძალადობასთან, დაკითხვებთან და გამოძიებებთან მიმართებაში; ასევე, არჩევნების გარეშე თვითმმართველობებში განხორციელებულ პოლიტიკურ ცვლილებებზე და უმცირესობების მიმართ არატოლერანტობაზე“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ არჩევნების ჩატარებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რა მოხდება პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ.

სტატიის ავტორი ვარაუდობს, რომ თუ ხალხი ხმას უფრო მეტად მას მისცემს, ვიდრე მის კოალიციას (როგორც ამას თავად აცხადებს), მისი წასვლა შეამცირებს მთავრობის ლეგიტიმურობას: **„მინისტრები აცხადებენ, რომ ხელისუფლება შეასრულებს წინასაარჩევნო დაპირებებს, მაგრამ კოალიცია მყიფეა, ის შეიძლება ადვილად დაიშალოს ივანიშვილის გარეშე. ეს უფრო ამწვავებს გაურკვევლობას და ვნებს ეკონომიკას. ნებისმიერ პირს, ვინც პრემიერ-მინისტრის თანამდებობას დაიკავებს ივანიშვილის შემდეგ, ძალიან რთული სამუშაო ელის“.**

სტატიის ავტორი ასევე წერს, რომ ივანიშვილის მომავალი როლი უფრო ყურადღებითაა შესასწავლი: **„შეძლებს თუ არა ის, გაუწიოს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს უანგარო დახმარება იმ მთავრობისთვის კონტროლის გაწევაში, რომელიც თავად ჩამოაყალიბა? ზოგიერთი კრიტიკოსი ვარაუდობს, რომ ის ყოველგვარი დემოკრატიული ანგარიშვალდებულების გარეშე გააგრძელებს პოლიტიკური სადავეების გამოყენებას კულისებიდან. თუმცა, ივანიშვილი უარყოფს ამ ბრალდებებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ სცენარისთვის თავის არიდება ერთი ადამიანის კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული. სწორედ ეს არის შეშფოთების მიზეზი“.**

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ ნოემბერში, ვილნიუსის სამიტზე, საქართველო იმედოვნებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ინიცირებას, მომავალი წლის გაზაფხულზე კი შეთანხმებაზე ხელმოწერას: **„თუ საქართველო თავის მიერ შესასრულებელ შეთანხმების ნაწილს შეასრულებს, ევროკომისიამ შეიძლება, შეთანხმებაზე ხელმოწერა უფრო ადრე მოისურვოს, როგორც ეს 7 სექტემბერს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რადერ სიკორსკიმ განაცხადა და დასძინა, რომ ევროკავშირთან უფრო მეტად მიახლოებისთვის ქართველებს მეტი მსხვერპლის გაღება სჭირდებათ. მათი დარწმუნება, რომ ასე მოიქცნენ, არ იქნება ადვილი. საქართველოს პოლიტიკურ მხსნელებზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლება სჭირდება“.**

თავისუფალი ტრიბუნა

სამართლიანობის აღდგენას მეცნიერებათა აკადემიაშიც ელიან

მე-10 გვერდიდან

ახლა აკადემია. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში უზარმაზარი საქმეები კეთდებოდა. საქვეყნოდ იყო აღიარებული მათემატიკის, ფიზიკის, კიბერნეტიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ქართული ლიტერატურის, ენათმეცნიერების ინსტიტუტები. აი, ეს მოქმედი მექანიზმი მოსპეს, ინსტიტუტების ნაწილი გააუქმეს, ნაწილს შენობები წაართვეს და დახურვის პირას მიიყვანეს. მიზანი განათლების დაკნინება და დაცემა იყო. აკი, პედაგოგთა ამასწინანდელმა ატესტაციამ გვიჩვენა, რა სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

დიდ პატივს ვცემ ბატონ თამაზ გამყრელიძეს, სახელოვან მეცნიერს, როდესაც აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს, გამიხარდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამ კაცის ავტორიტეტს ამოფარებულები, აკადემიის ნგრევას დაიწყებდნენ. ასეც მოხდა.

აკადემიკოსებს უფუნქციო პენსიონერებს უწოდებდნენ. მოძალადე ხელისუფლებისგან დაშინებულები (ორიოდე გამონაკლისის გარდა), ხმას არ იღებდნენ. ჯერ კიდევ მაშინ დავწერე საგაზეთო სტატია – „რამ დაგადუმათ, თქვენ ერიშვილებო?“ სიტყვა გაგვიგრძელდა. აკადემიაში ახლახან ჩატარებულ არჩევნებს მივუბრუნდეთ: უნდა ვთქვა, რომ არც ერთი პოლიტიკური ძალა არჩევნებში არ ჩარეულა. ათივე განყოფილებამ თამაზ გამყრელიძის კანდიდატურა წარადგინა. აკადემიკოსმა ივანე კიღურაძემ აქო ბატონი თამაზი, მისთვის მხარდაჭერა ითხოვა, მაგრამ ამ გამოსვლამ უკუშედეგი მოიტანა.

ნიკო მუსხელიშვილის პრეზიდენტობიდან მოყოლებული, ვიცე-პრეზიდენტის პოსტი ყოველთვის ჰუმანიტარებს, ისეთ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს ეკავათ, როგორებიც იყვნენ: სიმონ ჯანაშია, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, ირაკლი აბაშიძე, ანდრია აფაქიძე... ახლა, ამ პოსტზე თემურ ნანეიშვილი აირჩიეს. კარგი კაცია, მებრძოლი და დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ ისიც, ახლადარჩეული პრეზიდენტისა არ იყოს, ბიოლოგია. მესმის, რომ ტექნიკურ დარგებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს შეუძლიათ მსოფლიოში გაიტანონ საქართველოს სახელი, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ – საქართველოს სულიერების გადამრჩენი სწორედ ჰუმანიტარული მიმართულებაა. ამიტომაც ებრძვიან. წაკითხული მაქვს ელიტური ნაციონალის, ზურაბ ჭიაბერაშვილის გამოკვლევა, სადაც წერს, საგანგაშო და ყურადღებამისაქცევია საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა ქცევა, რომლებიც ავრცელებენ ქართულ ცნობიერებას, ეროვნულ პრინციპებს და ამკვიდრებენ ქართული ოჯახის ტრადიციებს. სხვათა შორის, ამ ნაშრომში, გრანტის სახით, ჭიაბერაშვილმა 33 ათასი დოლარი მიიღო.

აკადემიის კრებაზე გამოვიდნენ ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე – არაჩვეულებრივი მეცნიერი, მოაზროვნე, ეროვნული სულით განმსჭვალული ადამიანი, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე, რომელიც ასევე დიდ ქართველად მიმაჩნია. მათ შემდეგ მეც გამოვედი და ვთქვი: თუ ვინმეს უნდა ჰქონდეს პრეტენზია ვიცე-პრეზიდენტობაზე, უნდა გვქონდეს ჩვენ, ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებს და ამ თანამდებობაზე შესაფერისი კანდიდატურაც დავასახელე.

კოლეგებმა იმსჯელეს, ყველამ მხარი დამიჭირა, მაგრამ ჯერ პრეზიდიუმზე არ განგვიხილავსო და საკითხი ცოტა ხნით გადაიდო. ისეთი აზრი გამიჩნდა, რომ ბატონი გიორგი კვესიტაძე შეზღუდეს. მომეჩვენა, რომ დამაბრკოლებელი იმპულსები პარლამენტიდან მოდიოდა... აკადემიის საერთო კრება უმაღლესი ორგანოა და მე პირადად, თანამოაზრეებთან ერთად, კატეგორიულად დავაყენებ ამ საკითხს. აკადემიას უნდა ჰყავდეს ჰუმანიტარი, ქართველოლოგი ვიცე-პრეზიდენტი და კანდიდატურასაც დავასახელებ.

აქვე, ერთი რამ მინდა ვთქვა. პარადოქსია – წინა ხელისუფლება გულმოდგინედ ებრძოდა ქართულ ცნობიერებას, სამშობლოს სიყვარულის პროვინციალიზმად აფასებდა და ლამის ქართული სიზმრის ნახვასაც დანაშაულად გვითვლიდა. ახლა, როგორც კი გაუჭირდათ, ეროვნულები დაირქვეს. ეგენი ჩემისთანა ადამიანებს პატრიოტიზმს ვერ ასწავლიან. მათ მიერ შექმნილი სისტემა უნდა გასამართლდეს. სააკაშვილის ყველა გამოსვლა ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული, ამ საქციელის პატიება კი შეუძლებელია“.

არგუმენტები, რომელიც აკადემიის საერთო კრებაზე აკადემიკოსებმა მარიკა ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ, ელიზბარ ჯაველიძემ და მათმა მხარდამჭერებმა წარადგინეს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, აკადემიის 60-წლიანი პრაქტიკით და ტრადიციით არის ნაკარნახევი. მათი მოთხოვნის გათვალისწინება, როგორც არაერთი მეცნიერი აღნიშნავს, გადაუდებელი აუცილებლობაა და აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი კვესიტაძემ თავად უნდა დააჩქაროს ეს პროცესი. ბატონმა ელიზბარ ჯაველიძემ გარკვეული მინიშნებები გააკეთა. ვიმეორებთ, პარლამენტისკენაც გაიშვირა თითი... სამწუხაროდ, ზოგიერთი ავტორიტეტული მეცნიერი პირდაპირ მიანიშნებს პარლამენტის მეცნიერების კომიტეტს და მის თავმჯდომარეს, აკადემიკოს ივანე კიღურაძეს.

ბატონ ვანოსთან დაკავშირება ამჯერად ვერ შევძელით, მაგრამ მასთან ადრინდელი საუბრების, აკადემიის სხდომაზე მისი გამოსვლის გაცნობის შემდეგ, ცოტა გაკვირვებულებიც დავრჩით.

იმას (აკადემიის შიდა საქმეებში ჩარევა), რასაც ბატონი ივანე კიღურაძე ადრე საყვედურობდა ხელისუფლებას, ახლა თავად იმეორებს ხელისუფლებისვე სახელით. ვის და, ბატონ ივანეს უხერხულად უნდა ეგრძნო თავი, როცა აკადემიას სათავეში ორი ბიოლოგი ჩაუდგა. არავინ ეჭვობს ბატონ თეიმურაზ ნანეიშვილის მოქალაქეობრივ და მეცნიერულ კომპეტენციას, მაგრამ აკადემიკოსობის ერთი თვის სტაჟის მქონე ადამიანის ასე ნაჩქარევი არჩევა ვიცე-პრეზიდენტის უაღრესად პასუხსაგებ და საპატიო პოსტზე, არცთუ უსაფუძვლო შეკითხვებს ბადებს და ამ „საქმეში“ ხელისუფლების (ამ შემთხვევაში, პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის) დაინტერესებას ხედავენ. პირად საუბრებში, აკადემიის წევრები ვერ ფარავენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ აქამდე პრინციპულ მოღვაწედ ცნობილი და გამორჩეული პიროვნება გიორგი კვესიტაძე დაჰყვა მავანის და მავანის სურვილს და წაუყრუა ჰუმანიტართა სამართლიან მოთხოვნას.

პირიქით, მისგან მოელოდნენ პრინციპულობას, აკადემიის ტრადიციებისა და ინტერესების ხმალამოღებულ დაცვას, რაც განამტკიცებდა აკადემიისა და მისი პრეზიდენტის უკანასკნელი ცხრა წლის მანძილზე საკმაოდ შელახულ ავტორიტეტს.

ივლისში დათქმული კრების ჩაუტარებლობა აშკარა დისკომფორტს ქმნის. აკი, პრობლემა ამ კრებაზე უნდა გადაწყვეტილიყო! მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრს გულისტკივილით გადმოგცემთ, მაგრამ ასეთი პირდაპირი თქმა საქმესაც წაადგება და ჩვენთვის უაღრესად პატივსაცემ პიროვნებას, აკადემიკოს გიორგი კვესიტაძესაც.

პატივცემულო ბატონებო, ჩვენი დიდი და საამაყო აკადემიის ღირსეულო წარმომადგენლებო, ქართული მეცნიერებისადმი, ქართული ცნობიერებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, წარსულის დაფასებასთან ერთად, ქვეყნის ღირსეული მომავლისკენ გზის გაკვლევაც იქნება. მოდით, მართალი სამართლის ქმნით გავანედლოთ სიცოცხლის ის ხე, რომელიც ოპოზიციაში გადასულმა ნაციონალ-ეროვნულმა ხელისუფლებამ, თითქმის გაახმო. სამართლიანობის აღდგენა – ქართველოლოგთა ღვაწლის სათანადოდ დაფასება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასაც დაუბრუნებს არცთუ შორეულ დიდებას და მადლიერ გულშემატკივრებს გულწრფელად, მაჟორულ ნოტზე გვათქმევინებს: ვივატ, აკადემია!

ნუგზარ მუშკუდიანი, ვახტანგ ლორთქიფანიძე

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				8	6	4	7	
			2					
				9	5		2	8
		4	7			2		
9	2						6	3
		3			8	7		
8	6		1	7				
					4			
	4	9	6	5				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		1	9	2		3	8	
	7	8	6					9
		4			2			5
9	8			1			4	3
5			7			9		
4					5	1	9	
	1	2		6	9	5		

ᲠᲗᲣᲚᲘ

9			2	5		7		4
	6			1		9		
					4			1
			4			8	5	
8								2
	4	2			5			
7			5					
		6		2			3	
3		5		6	1			8

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	6				7			3
3	4				6			
	7		1	3		6	4	
		4	2					
9				1				4
					5	8		
	3	2		9	4		7	
			5				9	6
7			3				2	

მამაკაცის ხასიათი საკვებზეა დამოკიდებული

მეცნიერებმა უკვე დიდი ხანია დაადგინეს კავშირი ადამიანის ხასიათსა და მის გასტრონომიულ მისწრაფებას შორის. რასაკვირველია, მენიუ ყველას სხვადასხვანაირი აქვს, მაგრამ რაღაც უფრო მეტად გვიყვარს, ზოგ საჭმელს კი პირსაც ვერ ვაკარებთ. საკვების მიხედვით, თურმე, განსაკუთრებით ადვილია მამაკაცის ხასიათის გაშიფვრა, ქალებთან კი საქმე სხვაგვარადაა — ისინი ხშირად ამბობენ უარს საყვარელ პროდუქტზე და არასასურველს ჭამენ, რადგან ის ჯანმრთელობისთვისაა სასარგებლო და მარადიულ ახალგაზრდობას ჰპირდება. ასე რომ, მოდით, მამაკაცების ხასიათი ამოვიცნოთ.

შოკოლადისა და ტკბილეულის მოყვარულები — ჯანმრთელობისთვის სასარგებლო მხოლოდ შავი შოკოლადია, ისიც დღეში მხოლოდ სამი-ოთხი ნატეხი. თუ მამაკაცი რძიანი შოკოლადის ფილებს მიირთმევს, სიამოვნებით აყოლებს „სნიკერსს“ ან სხვა ტკბილეულს — ორცხობილას, ვაფლს... ფინჯან ჩაიში კი 3-4 კოვზი შაქარი უნდა, ის სიყვარულისა და ურთიერთგაგების ნაკლებობას განიცდის. ტკბილეულობის მოყვარულები ძალიან არიან მიჯაჭვულნი მეგობრებზე, ოჯახზე, თანამშრომლებზე. პატარა უთანხმოება თუ დიდი სკანდალი, ურთიერთობების გარკვევა თუ მარტოობაში გატარებული დღეები მათთვის ცხოვრებისეული წვრილმანი კი არა, სერიოზული პრობლემაა. მიზეზს საკუთარ თავში ეძებენ და სიმშვიდის მოსაპოვებლად ტკბილეულს ეძალებიან.

ხორცის მოყვარულები — რეალისტი, მბრძანებლური და აგრესიული ადამიანები არიან. ასეთი მამაკაცები ცოფდებიან თუ ვახშამზე, ვთქვათ, შემწვარი ხორცის ნაცვლად, ბოსტნეულის მსუბუქი სალათა მიართვით.

რძის პროდუქტების მიმართ მისწრაფება — ვინმეზე მუდმივად ზრუნვის სურვილზე მიანიშნებს. კაცი, რომელიც სვამს რძეს, კეფირს, დილას კი იოგურტით იწყებს, მზრუნველი და ნაზი ადამიანია. რძის მოყვარულებს ბავშვები და ცხოველები უყვართ, ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება დიდი ოჯახის გარეშე. ასეთი მარტოხელა მამაკაცები, როგორც წესი, ძაღლს ან კატას გაიჩენენ ხოლმე, რადგან მათთვის ბინაში მარტო ცხოვრება, უბრალოდ, აუტანელია.

ნიგვზის სიყვარული — იმაზე მიანიშნებს, რომ ასეთ მამაკაცს ყოველთვის პირველობა და ყველაფერში გამარჯვება სურს. ფასტ-ფუდისა და ჩიფსის მოყვარულებს ყველაფრის სწრაფად გაკეთება უყვართ, ვერ იტანენ ყოველგვარ ბიუროკრატიას. ისინი ცოცხალი, ენერგიული მამაკაცები არიან და რუტინა მათ, უბრალოდ, კლავს.

საჭმელში ასკეტები და ყველაფერი უბრალოს მოყვარულები — მათ გურმანებს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. არავითარი დახვეწილი კერძი ან დელიკატესი, მხოლოდ უბრალო საკვები, მარტივი კერძები, ასევე მარტივი ინგრედიენტებისგან. რაიმე ძვირიანი ან უჩვეულო პროდუქტის მირთმევის ნება საკუთარ თავს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მისცენ. საკუთარი ცხოვრებით უკმაყოფილო ადამიანები მიიჩნევენ, რომ დელიკატესები ან ეგზოტიკური პროდუქტები ფულის უსაფუძვლო ხარჯვაა. მაგალითად, რატომ უნდა გააკეთო კრევეტების კოქტეილი, როცა შეიძლება წიწიბურა მოხარშო? ვიღაც იტყვის, რომ ეს პრაქტიკული აზროვნება და ეკონომიაა, მაგრამ ასეთი მამაკაცისგან პირველივე დღეს გაიქცევით.

გურმანები — მხიარული ადამიანები არიან, უყვართ თავგადასავლები, სიახლეები, არც ექსპერიმენტების წინააღმდეგი არიან და არა მხოლოდ საჭმელში.

მწარე საკვების მოყვარულები — ტემპერამენტიანი და ვნებიანი ადამიანები არიან, ავანტიურისტები და თავგადასავლების მოყვარულები. როცა ცხოვრებაში აკლიათ მძაფრი შეგრძნებები, ამ დანაკლისს „ჩილით“ ივსებენ, თუმცა ასეთი მამაკაცები ეჭვიანები, მესაკუთრეები, ფეთქებადები არიან.

მგრძნობიარე ნატურები კიტრს ირჩევენ — მათ შეუძლიათ ახალი კიტრი კილოგრამობით ჭამონ. მისი მოყვარულები ვახშმად უპირატესობას ქორფა მწვანილისგან დამზადებულ სალათს ირჩევენ და თქვენი კულინარიული შესაძლებლობებით კმაყოფილებიც დარჩებიან. კომბოსტოსა და პარკოსნების მოყვარული მამაკაცები მერყეევები არიან და ყოველ ნაბიჯს აწონ-დაწონიან. შესაძლოა, ეს არც ისე ცუდი იყოს, ზედმეტი პრაქტიკულობა ბევრ შეცდომას არიდებს თავიდან.

მწნილისა და მარინადის მოყვარულები — სახლში დამზადებულ კონსერვებს ანიჭებენ უპირატესობას მაშინაც კი, როცა ახალი ხილი და ბოსტნეული ბევრია. მამაკაცის განსაკუთრებული სიყვარული კიტრის მჟავეს, კონსერვირებული ტომატისა და სოკოს მარინადების მიმართ მის „შინაურ“ ტირანიაზე მიანიშნებს. ასეთი კაცი მიიჩნევს, რომ ქალის ადგილი გაზქურასთანაა, არ უნდა გააჩნდეს საკუთარი აზრი, მხოლოდ უნდა მოისმინოს და დაეთანხმოს.

უმი სტაფილოსა და ვაშლის მოყვარული მამაკაცები — ფსიქიკურად ყველაზე გაწონასწორებულები არიან. ისინი ნებისმიერ დროს მზად არიან, მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ, ნებისმიერი პრობლემა კაცურად გადაწყვიტონ ან მეორე ნახევართან დათმობაზე წავიდნენ.

წინა ნომერში გასუდოკუ სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	7	2	9	8	6	3	1	4
1	6	4	7	3	5	9	8	2
3	9	8	4	2	1	6	5	7
6	5	3	2	4	9	1	7	8
8	4	1	5	7	3	2	9	6
7	2	9	6	1	8	5	4	3
4	3	7	1	9	2	8	6	5
2	1	6	8	5	4	7	3	9
9	8	5	3	6	7	4	2	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	5	2	7	6	8	4	3	1
6	4	3	2	5	1	9	8	7
1	8	7	4	3	9	2	6	5
5	9	1	8	7	2	3	4	6
8	7	4	3	1	6	5	2	9
3	2	6	9	4	5	1	7	8
7	3	9	1	8	4	6	5	2
4	1	5	6	2	7	8	9	3
2	6	8	5	9	3	7	1	4

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	8	9	2	7	5	6	4	3
5	7	4	6	3	1	2	9	8
6	3	2	9	4	8	7	5	1
7	6	1	8	5	4	3	2	9
9	2	8	7	6	3	5	1	4
4	5	3	1	2	9	8	7	6
3	1	7	5	9	6	4	8	2
2	9	6	4	8	7	1	3	5
8	4	5	3	1	2	9	6	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	7	5	2	1	8	3	9	4
1	4	3	7	9	6	8	2	5
8	2	9	5	4	3	1	7	6
3	1	8	9	6	7	4	5	2
2	9	7	4	5	1	6	8	3
5	6	4	8	3	2	7	1	9
9	8	2	3	7	4	5	6	1
7	3	1	6	2	5	9	4	8
4	5	6	1	8	9	2	3	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

3	6	9	4	8	2	1	7	5
7	8	5	1	3	6	4	9	2
4	2	1	5	9	7	3	8	6
6	7	4	3	1	9	5	2	8
1	9	2	8	7	5	6	3	4
8	5	3	6	2	4	9	1	7
9	4	8	2	6	1	7	5	3
5	3	7	9	4	8	2	6	1
2	1	6	7	5	3	8	4	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

1	5	4	8	6	3	7	2	9
3	2	9	1	7	5	8	6	4
8	7	6	4	9	2	5	3	1
9	8	3	7	1	6	4	5	2
7	6	5	2	4	9	3	1	8
4	1	2	5	3	8	6	9	7
6	3	1	9	8	7	2	4	5
5	4	7	6	2	1	9	8	3
2	9	8	3	5	4	1	7	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	6	8	5	2	7	9	1	3
1	3	2	9	8	6	7	5	4
9	5	7	4	3	1	2	6	8
3	4	9	8	6	2	5	7	1
7	2	5	3	1	4	8	9	6
8	1	6	7	9	5	4	3	2
5	8	4	1	7	3	6	2	9
6	9	3	2	5	8	1	4	7
2	7	1	6	4	9	3	8	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	6	8	7	5	3	4	1	2
5	4	1	2	9	6	8	7	3
3	2	7	4	1	8	9	6	5
2	1	5	3	4	9	6	8	7
8	9	4	6	7	5	3	2	1
7	3	6	1	8	2	5	4	9
1	8	3	5	6	7	2	9	4
6	7	2	9	3	4	1	5	8
4	5	9	8	2	1	7	3	6

მე-13 გვერდი: 1. პლანშე; 2. ლავინი; 3. ნორგეი; 4. ავანგი; 5. ვერონა; 6. ნანეტი; 7. კვარცი; 8. ყლორტი; 9. რძალი; 10. ირონია; 11. ინგლისი; 12. რუტინა; 13. მწყერი; 14. ირინე; 15. ანი; 16. ატენი; 17. აგვისტო; 18. ძილი; 19. იკაროსი; 20. ბროლი; 21. აკონკაგუა; 22. არგანი; 23. ციფერბლატი; 24. კაისა; 25. გერილია; 26. იკიკე; 27. ცეკვის ჯადოქარი; 28. ფაბერჟე; 29. უსენი; 30. ეკი; 31. პიკი; 32. ბაკარა; 33. ტუფი; 34. პოინტერი; 35. ვიარდო; 36. ლუსონი; 37. ერგი; 38. ოსანა; 39. არია; 40. სიდრი; 41. „ისინი“; 42. ილფი; 43. გუგლი; 44. ფირდოუსი; 45. სამსონი; 46. ბიორნ; 47. მბაბანე; 48. ჟვანია; 49. ცე; 50. დეა; 51. ბისტრო; 52. უჯრა; 53. ქაცვი; 54. ფული; 55. აკინი; 56. რა; 57. ქობა; 58. სილვიო; 59. ტუია; 60. ჰიდრა; 61. მორიელი; 62. მიაუ; 63. ულუ; 64. სუი; 65. ლუი; 66. კაროჟნა; 67. ფიულკე; 68. ქადა; 69. კაასი; 70. რინგი; 71. ნაიკი; 72. ფუტი; 73. აჩუ; 74. ჩუი; 75. მაკიაველი; 76. კაი; 77. სი; 78. კარიბუ; 79. ლესა; 80. ჩაპლინი; 81. ალჩუ; 82. იქსი; 83. აიდაჰო; 84. ილიკო.

მე-16 გვერდი: 1. 1. კარმანიოლა; 2. გენეალოგია; 3. კვინტილიონი; 4. რუბიკონი; 5. აბორტი; 6. ინია; 7. ნათელთევზა; 8. აფრიკა; 9. ოსმიუმი; 10. იეტი; 11. სიმბიოზი; 12. ალექსანდრე; 13. ადინამია; 14. ორგია; 15. თერთმეტი; 16. რიოში; 17. აეკი; 18. აპია; 19. ხრიდოლი; 20. პრემია; 21. სტაკატო; 22. ლაკრუა; 23. ზიარება; 24. იზნიქი; 25. მე; 26. შუ; 27. ვენდეტა; 28. ალენი; 29. ყანა; 30. ვაშლი; 31. კიო; 32. სოს; 33. „სამაია“; 34. ლაზიერი; 35. შირაზი; 36. ავი; 37. ნარმა; 38. „ბრიო“; 39. ამბრი; 40. ლილო; 41. ალიზი; 42. შულერი; 43. ნიუ; 44. თოლია; 45. ლუპა; 46. ანჟუ; 47. ურდუ; 48. რეა; 49. ნათხემი; 50. პერუ; 51. ბიბი; 52. ხომლი; 53. თოხლი; 54. რომეო; 55. ბეზე; 56. დურუ; 57. სე; 58. ბოა; 59. თიხა; 60. მოა; 61. ტოკაი.

1. ქვეყანა ახლო აღ-მოსავლეთში
2. ზევსის ფარი
3.ალექსან-დრე ჭავჭა-ვაძის მამის სახელი
4.სტომა-ტოლოგის მოძველებული სახელწოდება
5. კათოლიკ-ეთა მღვდელი პოლონეთში
6სოფლის ხალხის თავშესაყრელი ადგილი ფშავში
7. ძველი ასურეთის დედაქალაქი
8. ჩინელების „პერი“
9.არაჩვე-ულებრივი, იშვიათი მოვლენა
10. ავტორი რომანისა „წითელი და შავი“
11. გიორგი დანელიას ფილმი
12. წყალ-წაღებულის „ხელმოსა-ჭიდი“
13. მზისა და მთვარის დაბნ. განმეორადო-ბის პერიოდი
14.ბინძური თავლების პატრონი
15. სასვენი ნიშანი
16. ალე-გორიული მოთხრობა
17. ოვდახური კერის მფარვე-ლი რომაული ღვთაება
18. ვულკანი სიცილიაზე
19.ფრანგი კინომსახიობი მამაკაცი
20. მონღოლი დიდებული
21სიღრმის ავტომატუ-რად საზომი ხელსაწყო
22. საერ-თაშორისო გამოფენა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ იმართება
23. მსახიობი ჯუდ ...
24. ხე მაგარ-ნა-ჭუჭიანი ნაყოფით
25.მიმართვა ინგლისელი ქალიშვილი-სადმი
26. პირი, რომელიც სო-ციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობს
27. იგივეა, რაც თაღი
28. ჭადრაკის გენიოსი
29.კლდეში ნაკვეთი ქა-ლაქი შიდა ქართლში
30.რაიმე საქ-მის წინასწარ-განზრახვით ჩაფუშვა
31. საქა-რთველოს პარლამენტის ექსსპიკერი
32. შოტ-ლანდიელ მამაკაცთა ტრად. სამოსი
33. იტალი-ური ფიჭვი
34. მწერალი ... ქიაჩელი
35. ფრანგი ფერმწერი
36. ამერიკული ავტომარკა
37. ქალაქი ცენტრალურ რუსეთში
38. იაპონის ხომალდი
39. მსახიობი ... აფლეკი
40. აშშ-ის შტატი
41.ოკეანეში მცურავი ყინულის მთა
42.კრივში: დარტყმა ქვე-მოდან ყბაში
43. ხურდა ფული შვე-ციაში
44.იტალიის უდიდესი მდინარე
45. ლი-ანდაგის შემადგენელი ნაწილი
46. მაუგ-ლის მეგო-ბარი ავაზა
47. მექა-ნიკური მუშაობის ერთეული
48.უეფას შტაბ-ბინის ქალაქი
49. იგივეა, რაც ახლო-მხედველი
50. დიდ ინგლისელი ფიზიკოსი
51.მდინარე დასავლეთ ევროპაში
52. ბეწვი-ანი ტყავის ქუდი
53. ეპისკოპო-სი „შუშანიკის წამებაში“
54.მწერალ არსენ მამუ-ლაიშვილის ფსევდონიმი
55. ფოტო-გრაფიის „მამა“
56. საგანთა ჩამონათვალი
57. ჰომერო-სის პოემა
58. იტალი-ური პელმენი
59.მდინარე სანკტ-პეტერ-ბურგში
60. მარი-ტას ქმარი „ნატ-ვრის ხეში“
61. ფიგურუ-ლი სახაზავი
62. მოკრივე ... ტაისონი
63. „ნაუ-ტილუსის“ კაპიტანი
64. ვირ-ტუოზი მევიოლინე ვანესა ...
65. წინაპ-რებიდან დამ-კვიდრებული ჩვეულება
66.ძვირ-ფას-მერქნიანი ხე, იგივე კოპიტი
67.ინდოეთის საკურორტო შტატი
68. ყინული - ინგლისურად
69.კათოლიკუ-რი წირვა
70.ლიხტენშტ. დედაქალაქი
71. სოფელი გარდაბნის რაიონში
72. მუხის ნაყოფი
73. ბნათი სტრიქონები ტელევიზორის ეკრანზე
74. ბიძინა ივანიშვილის ბანკი საქართ-ველოში
75. რუსი მომღერალი ... აპინა
76.შენობის საძირკვლის ზემო ნაწილი
77.მიანმა-რის (ბირმა) ფულის ერთეული
78.არაბული მოთხრობების კრებული „... ერთი ღამე“
79. სამხ. აზიაში მცხოვრები ხალხი
80. არქიპელაგი ფილიპინების შემადგენლო-ბაში
81. სიტყვის შემადგენელი ელემენტი
82. დიაოხის ერთ-ერთი მეფე
83. ნოხის, ხალიჩის სახელ-წოდება ძველ ქართულში

ხმამაღალი მუსიკა აბერებს?

დიდი ხანია ყველასთვის ცნობილია, რომ მაღალ ხმაზე მუსიკის მოსმენა, განსაკუთრებით ყურსასმენებით, ადამიანისთვის მავნეა. გამოკვლევების მიხედვით, რისკის ჯგუფში უფრო მეტი მოზარდი ხვდება, რადგან შესაძლოა, სმენა ფლეერის ხმამაღალი მოსმენის შედეგად დაკარგონ. ადამიანები თანამედროვე მელოდიებს განსაკუთრებით მაღალ ხმაზე უსმენენ, რადგან სურთ, ის რაც შეიძლება კრისტალურად ჟღერდეს. როგორც ექსპერტები აცხადებენ, მოწყობილობიდან მუსიკის ასეთი მეთოდით ინ-დივიდუალური მოსმენა სერიოზულ საშიშროებას უქმნის გოგონებისა და ბიჭების ჯანმრთელობას. ამის გამო ყოველი მეოთხე მოზარდი სმენის ადრეული დაკარგვის საფრთხის წინაშე იმყოფება. ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულები ამტკიცებენ, რომ ახალგაზრდებს მართლაც სჭირდებათ საკუთარ ჯანმრთელობაზე დაფიქრება, რადგან რისკის ქვეშ აყენებენ სმენას. წლების შემდეგ კი უკვე გვიანი იქნება რაიმეს გამოსწორება. ექსპერტები ამბობენ, რომ მთელ თაობას სიბერემდე გაცილებით ადრე შეექმნება სმენის პრობლემა.

ჰოროსკოპი
13 სექტემბერი

ვერძი — შესაძლოა, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ გაუთვალისწინებელი ცვლილების გამო, მაგრამ გამოსავალს ადვილად მოძებნით, თუ პანიკაში არ ჩავარდებით, მოთმინებას გამოიჩენთ და ლოგიკას მოუხმობთ.

კურო — საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ თქვენს მომავალზე. აუცილებლად კარგად დაფიქრება გმართებთ, ვიდრე ნაბიჯს გადადგამთ, დასანანი შეცდომა რომ არ დაუშვათ.

ტყუპები — სასიამოვნო დღეა, რომელიც კმაყოფილებასა და სარგებელს მოგიტანთ. სავსებით შესაძლებელია, პატარა, მაგრამ ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი მიიღოთ.

კირჩხიბი — დღე მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან ურთიერთობებისთვის. შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმოთ მათ და ნურც თბილ სიტყვებსა და კომპლიმენტებს დაიშურებთ.

ლომი — მნიშვნელოვნად განიმტკიცებთ მდგომარეობას და ავტორიტეტს, თუ მთელ ყურადღებას სამუშაოს დაუთმობთ, მაგრამ ზედმეტი დაძაბულობაც არ ვარგა. უბრალოდ, შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

ქალწული — ქალწულები დღეს ცოტა უკმაყოფილოები დარჩებიან ახლობლებთან ურთიერთობით ან ძვირფასი ადამიანის მიერ ნათქვამი სიტყვებით. სამაგიეროდ, სამსახურში შეგიძლიათ გამოიჩინოთ თავი და ამას ხელმძღვანელობა აუცილებლად დაგიფასებთ.

სასწორი — შეუფერებელი დროა პირადი ურთიერთობის აწყობისთვის ან მეორე ნახევართან კონტაქტების მოგვარებისთვის. არის შანსი, რომ სწორად ვერ გაგიგებენ, თქვენი ნათქვამი სიტყვებიც არ იმოქმედებს თქვენსავე სასარგებლოდ.

ღრიანკალი — ვარსკვლავები ენერგიის დიდ ნაკადს გამოგიგზავნიან. ბედნიერებისგან, უბრალოდ, ანათებთ და ოპტიმიზმით ხართ სავსე. თქვენში გაიღვიძებს ლიდერის თვისებებიც: ადამიანები სიხარულით შეასრულებენ ყველა თხოვნასა და დავალებას.

მშვილდოსანი — სურვილი გაგიჩნდებათ, განკარგულებები გასცეთ. გეჩვენებათ, რომ გარშემომყოფები ძალიან ნელა მოქმედებენ და თითქოს სპეციალურად წელავენ საქმეს. ფრთხილად იყავით, ასეთმა ქცევამ ურთიერთობები არ გაგიფუჭოთ.

თხის რქა — თქვენს ბრძნულ, მკაცრ და გამჭოლ მზერას ვერავინ და ვერაფერი დაემალება. ისეთ წვრილმანებსაც კი შეამჩნევთ, რასაც სხვა არც კი შეხედავდა.

მერწყული — თუ ადრე მერწყულებს ეჭვები სტანჯავდა მეგობრების ან საყვარელი ადამიანის ერთგულების თაობაზე, დღეს ისინი გაიფანტება და ჭეშმარიტებას ახდით ფარდას.

თევზები — ვარსკვლავები გირჩევენ, დაუფიქრებლად არ მოიქცეთ და მხოლოდ ინტუიციას არ ენდოთ. ნებისმიერი ნაბიჯი საგულდაგულოდ აწონდაწონილი და გაანალიზებული უნდა გქონდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხიფათს გადააწყდებით.

უსისხლოდ დაბადებული ბავშვი გადაარჩინეს

ნისლიან ალბიონზე, იშვიათი სინდრომის გამო, ოლივერ მორგანი სრულიად უსისხლოდ დაიბადა — მის ძარღვებში არც ერთი წვეთი წითელი სითხე არ იყო, ბიჭის გული, ექიმების თავდადებული მცდელობის წყალობით, მხოლოდ 25 წუთის შემდეგ ამუშავდა. პატარა ოლივერი ლამის შეეწირა Vasa Previa-ის იშვიათ სინდრომს, რომლის გამოც მორგანის დედას ფეხმძიმობისას მუცელში დამატებითი სისხლძარღვი წარმოექმნა. როცა 36 წლის დედა ორსულობის 37-ე კვირაზე იმყოფებოდა, ეს სისხლძარღვი გასკდა, ქალი სისხლისგან იცლებოდა და სასწრაფოდ კლინიკაში გადაიყვანეს, საკეისრო კვეთა ჩაუტარეს და როცა პატარა ამოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ მისი ორგანიზმი სისხლისგან იყო დაცლილი. სპეციალისტებმა სისხლის ეტაპობრივად გადასხმით გააცოცხლეს ჩვილი. ახლა ოლივერი უკვე ერთი წლისაა და აბსოლუტურად ჯანმრთელი ბავშვია.



ინფორმაციის კოპირება რელიგიად აღიარეს

შვედურმა ჯგუფმა, რომელიც ციფრული ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის მოწოდებით გამოდის, რელიგიური ორგანიზაციის რანგში ოფიციალური რეგისტრაცია მიიღო. ჯგუფი, რომელიც საკუთარ თავს „კოპიმიზმის ეკლესიას" (ინგლისურიდან copy me) უწოდებს, აცხადებს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალური აღიარება მას სამართლებრივ დაცვასა და „ღვთისმსახურების" თავისუფლებას მიანიჭებს. ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ „კოპიმიზმის ეკლესია" მჭიდროდაა დაკავშირებული შვედეთის „პირატულ მოძრაობასთან", რომელიც ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების მომხრეა და საავტორო უფლებების დაცვას ეწინააღმდეგება. ახალი კულტის „წმინდა" სიმბოლოებად მიიჩნევა კლავიშების წყობა Ctrl+C და Ctrl+V. ამ ახალი „რელიგიური" მიმდევრობის დამფუძნებელი კი ფილოსოფიის ფაკულტეტის 19 წლის სტუდენტია.

მარტოხელებისთვის სამაჯური შექმნეს

მარტოხელა ახალგაზრდები პარტნიორს სხვადასხვა ხერხით ეძებენ. დღეს მსოფლიოში ძალიან პოპულარულია გაცნობის საიტები და სოციალური ქსელები, მაგრამ ბრიტანელმა დიზაინერებმა — რინა მარდალმა და რობ იანგმა ამ საქმისთვის ორიგინალური ხერხი მოიფიქრეს — სამაჯურები მარტოხელებისთვის. მასზე ამოტვიფრულია „მარტოხელა ვარ", რაც საპირისპირო სქესს მისი მფლობელის სტატუსზე უმალ აცნობებს. თუკი დაოჯახებულ ადამიანს თითზე საქორწინო ბეჭდით ამოვიცნობთ, მარტოხელებისთვის საამისოდ სამაჯური შევქმენით, — ამბობენ დიზაინერები. 21-ე საუკუნეში ასეთი ადამიანების რიცხვი სულ უფრო იზრდება. სწორედ ამიტომ სჭირდებათ მათ საკონტაქტოდ თანამედროვე საშუალებები. სამაჯური შვიდი სხვადასხვა ფერისაა და 6 გირვანქა სტერლინგი ღირს.

ჰოროსკოპი
14 სექტემბერი

ვერძი — საკმაოდ დაძაბული დღეა, მაგრამ ყველაფერს თავს გაართმევთ. საღამოს შესაძლოა, უამრავი ახალი ამბავი გაიგოთ, ამიტომ აუცილებლად დაგჭირდებათ სიმშვიდეში განმარტოება.

კურო — დღე, შესაძლოა, სავსე იყოს მოულოდნელობებით, მაგრამ თქვენი ოპტიმიზმი და სიმტკიცე წარმატებისთვის სასიკეთო პირობებს შექმნის.

ტყუპები — შეეცადეთ, დღეს სულ ცოტა, მაგრამ კონკრეტული შედეგი მიიღოთ. საკუთარ სიმართლეში გარშემომყოფთა დარწმუნების უნარი დიდ დივიდენდებს მოგიტანთ.

კირჩხიბი — თუ ახალი საქმე გაქვთ ჩაფიქრებული, დაიწყეთ ის დღეს თამამად. მართალია, ახალ ჰორიზონტებს არც ისე ადვილად დალაშქრავთ, მაგრამ წარმატებას მაინც მიაღწევთ.

ლომი — ვიდრე დაგეგმილ სამუშაოს შეუდგებით, გაითვალისწინეთ წარსულის შეცდომები და მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ აქცენტები.

ქალწული — დღეს კარგი ამბების მოლოდინი გქონდეთ. ის გულს გაგითბობთ და გზაზე დაგაყენებთ, რომელიც შეიძლება საკმაოდ გრძელი აღმოჩნდეს.

სასწორი — ეს დღე არ არის კარგი აჩქარებისთვის. ვიდრე საჭირო გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, კარგად დაფიქრდით ან სხვებს ჰკითხეთ რჩევა.

ღრიანკალი — თქვენი რამდენიმე სურვილირეალობად იქცევა და მოწეული შედეგით სასიამოვნოდ გაოცებული დარჩებით.

მშვილდოსანი — „დავეწიოთ და გავუსწროთ" — ეს ლოზუნგი დღეს თქვენ არ გამოგადგებათ. მხოლოდ მტკიცე, მიზანმიმართული მოქმედება მოგიტანთ პირველობას და წარმატებაც გარანტირებული გექნებათ.

თხის რქა — „ნაცრისფერი" დღეა — არც ნკლავების დაკაპიწება ღირს და არც ხელების ჩამოშვება. შეეცადეთ, მიეჩვიოთ იმას, რომ თქვენი მისამართით გამოთქმული კრიტიკა კომპლიმენტად აღიქვათ.

მერწყული — ვიდრე წარმატებას საფუძველს ჩაუყრიდეთ, თქვენთვის გაარკვიეთ, სად არის მისი მიღწევისთვის აუცილებელი „საჭირო ადგილი" და როდის დადგება „საჭირო დრო".

თევზები — ჭორები, დღეს როგორც წყალქვეშა რიფები, ისე იმოქმედებს. ნუ მიენდობით ტალღებს, შეეცადეთ, წინააღმდეგობას თავი მაქსიმალურად აარიდოთ.

სუდოკუ

ადვილი

3			8		9			1
4			3					
	7	6		5				
	6							
	9	4	2		7	5	3	
							9	
				3		6	8	
					2			3
5			6		4			2

სტანდარტი

					1	6		3
					9		2	
	3					9	1	
7		3	1		5		4	
	2		7		8		9	
	1		6		2	7		5
	7	2					8	
	5		9					
6		9	5					

რთული

					2	3	9	8
9			1	8	7		2	
				3				
3	2						7	6
		1				4		
7	6						8	9
				9				
	8		7	6	3			5
1	7	9	5					

ექსპერტი

				8	3			
4					1			9
9		7	6				3	
		6	2				5	
5		8				6		2
	2				6	1		
	1				9	2		6
2			1					8
			8	2				

ჰოროსკოპი
15 სექტემბერი

ვერძი — ეური უგდეთ გარშემომყოფების მოსაზრებებს. დღეს საკუთარ თავზე ბევრ საინტერესოს გაიგებთ, რაც მომავლის უკეთესობისკენ შეცვლაში დაგეხმარებათ, თუმცა ნუ ჩაულრმავდებით დეტალებს და დრო სხვა, უფრო მნიშვნელოვან, საკითხებს დაუთმეთ.

კურო — პირადი ცხოვრება უნდა დაიგეწუოთ, რადგან მთელი დღე გარშემომყოფების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. ისეთი ირეალური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდებით, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენდით.

ტყუპები — დღეს იმაზე მეტს იტვირთავთ, ვიდრე შეგიძლიათ, მაგრამ, საბედნიეროდ, საღამოსთვის ყველაფერს გაართმევთ თავს. თუ რომელიმე კერძზე ექსპერიმენტის ჩატარებას გარისკავთ, რეცეპტი თვალსაჩინო ადგილზე დადეთ, ექიმებს მოწამლის მიზეზის დადგენა რომ არ გაუჭირდეთ.

კირჩხიბი — უამრავ ინფორმაციას მიიღებთ. შეეცადეთ, სასარგებლო და უსარგებლო ერთმანეთში არ აურიოთ. ნუ გაირთულებთ ცხოვრებას და ნურც სხვას შეუქმნით დისკომფორტს. ყველაფერი მოგვარდება, მთავარია, ნერვები არ აიშალოთ.

ლომი — ყველაფერს ნუ გასერიოზულებთ, უფრო ლაღად შეხედეთ მოვლენებს. სხვების საკეთილდღეოდ საკუთარი საქმეებიც კი გვერდზე გადადეთ, თუმცა ესეც არ არის ცუდი, ოდესმე სხვაც ასე გაირჯება თქვენთვის.

ქალწული — დღეს ყველაფერი გეპატიებათ, შეგიძლიათ თავს განტვირთვის საშუალება მისცეთ კიდეც, მაგრამ ზედმეტი არ მოგვიდეთ. თუ ხალხს უჭირს თქვენი გაგება, დამოუკიდებლად იმოქმედეთ და დროს ახსნა-განმარტებებში ნუ დაკარგავთ.

სასწორი — წარმატებული დღე გელით, მაგრამ თუ თავად გულხელდაკრეფილნი იჯდებით, ცოდნა ვარსკვლავებს არავინ ჩამოგიყრით. თუ იმოქმედებთ, გაფრთხილდით, სიჩქარეში შეცდომები არ დაუშვათ.

ღრიანცალი — თქვენი გულისტკივილი ისეთ ადამიანს გაუმხილეთ, ვინც გულდასმით მოგისმენთ და საჭირო რჩევასაც მოგცემთ. შესაძლოა, დღეს გარკვეული სიურპრიზიც მიიღოთ ახლობელი ადამიანისგან.

მშვილდოსანი — ახლობლების დახმარებით ყველაზე რთულ პრობლემებსაც ადვილად მოაგვარებთ, მაგრამ ძალიან სწრაფად მოქმედებთ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ცოტა ხანში მარტო აღმოჩნდებით.

თხის რქა — დილიდანვე მოარგეთ ვარდისფერი სათვალე და დატკბით ცხოვრებით. რასაც ვერ შეცვლით, იმაზე ზედმეტად ნუ ინერვიულებთ. უმჯობესია, დღის დიდი ნაწილი შინ, ოჯახის წევრებთან ერთად გაატაროთ.

მერწყული — დღე ისე წარიმართება, როგორც დაიწყებთ. კარგი იქნება, დილიდანვე შეადგინოთ შესასრულებელი საქმეების სია და იმის მიხედვით იმოქმედოთ. ფულით, რა თქმა უნდა, ყველაფერს ვერ იყიდით, მაგრამ საკუთარ თავს უარს ნუ ეტყვით და საჩუქრებით გაანებივრეთ.

თევზები — არ გაგიკვირდეთ, თუ დღეს ყველაზე უჩვეულო სურვილიც კი აგისრულდებათ. დიდ წარმატებამდე ერთი ნაბიჯიღა გაშორებთ. შეეცადეთ, მაქსიმალურად ფრთხილად იმოქმედოთ, რათა საწყის ეტაპზე არ დაბრუნდეთ.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ტკბილეული არ გვასუქებს?

ამერიკელი დიეტოლოგების დაკვირვებით, ტკბილეულის დიდი რაოდენობით მიღება ადამიანის ჯანმრთელობასა და ფიგურაზე უარყოფითად არ აისახება. ეს უჩვეულო ექსპერიმენტი აშშ-ში 5 ათას ადამიანზე ჩაატარეს. მასში მონაწილე პირები ორ ჯგუფად დაყვეს: მათი ნაწილი ყოველდღე დიდი რაოდენობით ტკბილეულს მიირთმევდა, მეორე ნაწილი კი — შეზღუდვით. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებული სხვაობა ამ ადამიანების წონის მატებასა და კლებას შორის არ ყოფილა. ამდენად, დიეტოლოგებმა ახალი აღმოჩენა გააკეთეს და განაცხადეს, რომ ტკბილეულის მიღებასა და სიმსუქნეს შორის კავშირი არ არსებობს, თუმცა არის ერთი წინააღმდეგობა — დიდი რაოდენობით პირის ჩასატკბარუნებელი უარყოფითად მოქმედებს კბილებსა და დიაბეტით დაავადებული ადამიანების ჯანმრთელობაზე. ექსპერიმენტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ ტკბილეულის მიღების შემთხვევაში, ადამიანი მხოლოდ 44 კალორიას იღებს, რაც რეკომენდებული კალორიების მხოლოდ 2%-ს შეადგენს, ასევე მცირდება გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკიც... ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ჩვენს ჯანმრთელობას არანაირად არ ვნებს.

ბრინჯი გულის დაავადებების წინააღმდეგ

აშშ-ს ჯეფერსონის უნივერსიტეტის სწავლულებმა ჩაატარეს გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც დაასკვნეს, რომ ჩინური სამზარეულოს ერთ-ერთი კერძის ინგრედიენტი — საფუარიანი წითელი ბრინჯი მნიშვნელოვნად ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკს. მეცნიერები გამოკვლევას ხუთი წლის განმავლობაში, ჩინეთის 60 საავადმყოფოში ატარებდნენ — ექსპერიმენტის მონაწილეებს წითელ ბრინჯს კაფსულების ან პლაცებოს სახით აძლევდნენ, შემდეგ კი მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდნენ. შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ ავადმყოფებში, ვინც წითელ ბრინჯს იღებდა, 45%-ით შემცირდა განმეორებითი ინფარქტის რისკი, გულსისხლძარღვთა სხვა დაავადებების გამო გარდაცვალების შანსმაც მესამედით იკლო, სიმსივნით გარდაცვალების რისკი კი ორი მესამედით შემცირდა.

1.ფსიქიური აშლილობის ფორმა- განდიდების მანია
2. ძლიერი ქარი სამხრეთ საფრანგეთში
3. მკლავჭიდის სახელწოდება ევროპაში
4.არმის სამეთაურო შემადგენლობის წარმომადგენელი
5.უდიდესი სასყველი ქრისტიანულ ეკლესიაში
6. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი
7. დიდი იტალიელი კინორეჟისორი
8. სავანის ტიპი მდ. ორინოკოს ვაკეზე
9. ხვებით დაფარული ვრცელი ტერიტორია
10. უმცირესი სამნიშნა რიცხვი
11.ძალიან მაღალი მრავალსართულიანი შენობა
12. მალარიის კოღო
13. მხატვრის სახელოსნო
14. მოსამართლის ტიტული ინგლისში
15. ივივეა, რაც იალქანი
16.აშშ-ის ტელეპრემია
17.აბრეშ. ქსოვილი
18. ცხენების ჯოგი
19. მეუღლის მოტყუება, ღალატი
20. მსახიობი ... ტრავოლტა
21. ურჩხული შოტლანდიის ტბაში
22. გერმანული კოსმეტიკ. ფირმა
23. „ძე“ არაბულ გვარებში
24. ინდური კობრა
25. ბაშკირეთის დედაქალაქი
26. ქალაქი რუსეთში
27.აშშ-ის შტატი
28.პოსეიდონის ვაჟი
29. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი
30. ძვ. ესპანური ოპერის ჟანრი
31. თანამედროვე მუსიკის ჟანრი
32.ჰოლივუდის ლეგენდა ... ჰეპბერნი
33. პელეს მშობლიური გუნდი
34. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
35. ოპტიკური ხელსაწყოს ნაწილი
36. წყალქვეშა კლდე
37. ბოსტნეულის მავნებელი მწერი
38.ბრძანება „ნაბიჯით ...!“
39. მუსიკალ. გამის V ნოტი
40. ბასკური ტერორისტ. ორგანიზაცია
41. მოკლელოცვითი საგალობელი
42.ზღვის ვიწრო ყურე კლდოვანი ნაპირებით
43.ლევი სტრაუსის ქმნილება
44. იაპონური ავტომარკა
45.საქართველოს ეროვნული ვალუტა
46. სოფელი წალენჯიხის რაიონში
47. თონეში ჩავარდნილი პური
48.ინგლ. ფართობის საზომი ერთეული
49. ქუთაისის მორაგბეთა გუნდი
50. სოფელი ახმეტის რაიონში
51. ქართული ლუდის მარკა
52.მცირე ჩრდილი
53.ბოჭკოვ. მცენარე
54. ოსტატობის ხარისხი ძიუდოში
55.ფრანგი დიზაინერი ...-სენ ლორანი
56.ტარიელის მამა „ვეფხისტყაოსანში“
57.დიდი გარეული ფრინველი
58.მშრალი სასურსათო საქონლის ზოგადი სახელწოდ.
59.მეფე ლირის ერთ-ერთი ასული
60. ივივეა, რაც გაზი
61. ერთი დედ-მამის ქალიშ-ვილი სხვა შვილების მიმართ
62. თეატრის კოლექტივი
63.ჩეხთა ეროვნული გმირი ... ჰუსი
64. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ᲐᲥᲘᲜᲓᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲒᲜᲝᲜᲘ

			პარასკევი	კვირა		
			შაბათი			
თბილისი	+25	+26	+28		+26	+26	+28
ქუთაისი	+30	+33	+27		+14	+15	+15
ბათუმი	+28	+32	+25		+20	+22	+21
სოხუმი	+28	+31	+26		+22	+23	+21

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.